ლელო

№ 54
(11 203)

11 – 13 ივლისი, 1998 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტები ამირან აბესაძე, თამაზ თევზაძე და არკადი სმირნოვი მოსკოვიდან იტყობინებიან:

მსოფლიოს სპორტსმენთა ფორუმზე საქართველოს დროშა ფრიალებს

ის აჟიოტაჟი, რომელიც ახლა სუფევს რუსეთის ფედერაციის დედაქალაქში, ვისაც 1980 წელი ახსოვს, XX ოლიმპიური თამაშების დაუვიწყარ დღეებს აგონებს. მით უფრო, რომ პირველი მსოფლიო ახალგაზრდული თამაშები, მთელი თავისი ორგანიზაციული სპექტრით, სწორედ რომ ოლიმპიური ასპარეზობის ანალოგიურად ტარდება. ახლა ამ ღონისძიების ჩამტარებლების მოსკოვის მერიისა და პირადად მისი თავკაცის იური ლუჟკოვის ხელმძღვანელობით არა თუ 18 წლის წინანდელ გამოცდილებას იხსენებენ, არამედ იმასაც უწევენ ანგარიშს, რა სიახლეებიც მას შემდეგ დაინერგა და იმასაც, რომ ყველა ასეთმა სპორტულმა ფორუმმა რაღაცით განსაკუთრებულად უნდა გამოიჩინოს თავი და წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვოს მეხსიერებაში. ერთი სიტყვით, ყველგან და ყველაფერში იგრძნობა, რომ თამაშებმა ხმაურიანად და საინაქებოდ ჩაიაროს, თუმცა „თამაშების მანქანა“ ჯერ სრული სიმძლავრით არ ამოქმედებულა და სად რა იჩენს თავს, კაცმა არ იცის. ცხადია, ერთია სურვილი და სხვაა შესაძლებლობები. ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი, მაშინაც კი, როცა ერთიცაა და მეორეც, მაინც ჩანაფიქრის პრაქტიკული რეალიზაციაა. 1980 წელს პოლიტიკური სისტემაც სხვა იყო, სამეურნეოც და, გნებავთ, სპორტულიც. იმ სისტემაში ყველაფერი შიშით და პასუხისმგებლობით კეთდებოდა. ახლა კი, როგორც აქ ამბობენ, ეროვნული ღირსება, პატრიოტიზმი გამოვა წინა პლანზე და ფიქრობენ, რომ თავს არ შეირცხვენენ. ვნახოთ...

საქართველო-პოლონეთი 2-0

ბუშინ, სალამოს, ქართველი ფეხბურთელები ქვეჯგუფში პოლონელ თანატოლებს შეხვდნენ. დაძაბულ მატჩში ჩვენმა ბიჭებმა კვლავ შემართებით ითამაშეს და მრისხანე მეტოქეს სძლიეს 2-0. გოლები შეხვედრის II ნახევარში ბაიტანეს ხუროძემ და დეკანოსიძემ.
ამრიგად, ჩვენები თურქეთთან ბოლო მატჩის შედეგის მიუხედავად შემდგომ ეტაპზე გავიდნენ.

9 ივლისი მოსკოვში სტუმართა თავმოყრის განსაკუთრებული ინტენსივობით აღინიშნა. აეროპორტებიდან სასტუმროებამდე და ოლიმპიურ სოფლამდე, სპორტულ ობიექტებამდე მისასვლელ ტრასებზე, საერთოდ ქალაქში, გამოფენილია მისალმებები, თამაშების ემბლემები, სპორტის სახეობების სტენდები, სხვა სარეკლამო მასალები.

საქართველოს სპორტული დელეგაციაც, გარდა ფეხბურთელებისა (ისინი ადრე ჩავიდნენ) 9-ში ეწვია თამაშების დედაქალაქს. როგორც წესი, სტუმრებს დახვდნენ საორგანიზაციო შტაბის წარმომადგენლები, შეფები... რუსეთის ფედერაციაში საქართველოს „სპორტული ელჩი“ თამაზ მგალობლიშვილი,

იხ. მე-2 გვ.

სპორტზე ზრუნვის ასპინძური ვარიანტი, მაგრამ არა განზოგადებისათვის

SOS

საქართველოში სპორტს ისედაც უჭირს და ნათქვამი რომ არის გაჭირვებულს წიხლს არ აჭერენო, თურმე ასპინძის რაიონის მეხეურები მორალად ადარ თვლიან. გუშინ საგანგაშო ცნობა მოვიდა ამ რაიონიდან — ბავშვთა და მოზარდთა განათლების სპორტსკოლის შტატები მთელი 80 პროცენტით შეუმცირებიათ, ანუ სკოლა ფაქტობრივად რჩება ქაღალდზე, ანუ... დაიხურა. აბა სხვაგვარად როგორ ავხსნათ ის გადაწყვეტილება, რაც რაიონის განათლების განყოფილებას მიუღია, ცხადია, გამგეობასთან შეთანხმებით. იტყვიან ალბათ, მითითებაა, საბიუჯეტო ორგანიზაციებში შტატები მცირდებაო. კი ბატონო, არის ასეთი სამთავრობო დადგენილება, მაგრამ იქ ჩაწერილია 30 პროცენტი და არა 80! ძნელი მისახვედრი არაა რა ჩაიფიქრეს — სხვაგან ნაკლები შეამცირეს, — აქ მეტი, რაიონის მასშტაბით კი ზუსტად დაბალანსებენ იმ 30 პროცენტს. რატომ აღმოჩნდა ასპინძაში სპორტი გერის როლში, რატომ გადაუკეტეს მოზარდებს დაოსტატების გზა, რატომ წაართვეს ქართულ სპორტს რეზერვი? ნუთუ ჩვენი ქვეყნისათვის ასეთ მნიშვნელოვან რეგიონში სხვა გამოსავალი ვერ გამონახეს და ბავშვთა სპორტის ხარჯზე შეუნარჩუნეს ვიღაც-ვიღაცეებს თბილი ადგილი? ამას მოკეთე ნამდვილად არ გაკეთებდა. მხოლოდ ორი საშტატო ერთეულით, თავად წარმოიდგინეთ, რა სკოლა დარჩებოდა ასპინძაში.

იქნებ დაფიქრდნენ რაიონის ხელმძღვანელები და უძველესი სპორტული ტრადიციების კუთხეში სპორტს მახვილს არ ჩასცემენ.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია

გივი ქარგოზიას ხსოვნის ცალკისის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

ТБИЛИССКИЙ МЕЖДУНАРОДНЫЙ ТУРНИР ПО ГРЕКО-РИМСКОЙ БОРЬБЕ ПАМЯТИ ГИВИ КАРТОЗИИ

GIVI KARTOZIA WREGAN WRESTLING TBILISI INTERNATIONAL TOURNAMENT

მობრძანდით!

თბილისის სპორტის სასახლე 11-12 ივლისი, 1998 წ.

ПРИГЛАШАЕМ!
INVITATION!

ᲓᲦᲔᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲒᲘᲕᲘ ᲥᲐᲠᲒᲝᲖᲘᲐᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚ-ᲠᲝᲛᲐᲣᲚ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐᲨᲘ

11 და 12 ივლისს წინასწარი შეხვედრები 10⁰⁰-დან დაიწყება. ფინალები – 12 ივლისს, 17 საათიდან.

FRANCE 98
COUPE DU MONDE

XVI მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

დღეს, III ადგილისათვის:

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ – ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ 23⁰⁰

ᲤᲘᲤᲐᲡ მოხელეებმა გადაწყვიტეს, წინა პირველობებისაგან განსხვავებით, საგანგებოდ დააჯილდოვოს მსოფლიო თასის მფლობელი. ადრე თუ მხოლოდ გამარჯვებული გუნდის ფეხბურთელები და მწვრთნელები იღებდნენ ოქროს მედლებს, ახლა დაჯილდოვდებიან ისინიც, ვინც ნაკრებს საფრანგეთში ჩასვლის პირველივე დღიდან ემსახურებოდა. ლაპარაკია გუნდის მზარეულებზე, დალაქებზე, მრეცხავებზე, ექიმებზე და სხვა მომსახურე პერსონალზე.

გარდა ამისა, გაცილებით მრავალრიცხოვანი იქნება პირველობის დახურვის ცერემონიალი. „სტად დე ფრანსზე“, გამარჯვებული ნაკრების კაპიტანს სანუკვარ თასს გადასცემს ქვეყნის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი. გათვალისწინებულია ზღაპრული ფეიერვერკი, ხოლო სარბიელზე მოცეკვავეები და მომღერლები წარმტაც სანახაობას უჩვენებენ 80 ათასამდე მაყურებელს.

ᲮᲕᲐᲚ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲐ ● 23⁰⁰

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ ᲗᲣ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ?

სიახლენი სატრანსფერო ბაზარზე

● **ᲓᲝᲠᲢᲛᲣᲜᲓᲘᲡ** „ბორუსიისა“ და გერმანიის ნაკრების მარჯვენა მცველი იორგ ჰაინრიხი იტალიის „ფიორენტინაში“ გადადის, მექსიკელი ხერმან ვილა კი ესპანეთის „ესპანიოლში“ ჩაირიცხა.

● **ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ** ნაკრების ვარსკვლავი ჰიდეტოში ნაკატა მომავალ სეზონში იტალიის სერია A-ს რომელიმე კლუბში ითამაშებს.

● **ᲮᲝᲡᲔᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ** კამაჩომ უარი თქვა მადრიდის „რეალის“ მწვრთნელობაზე.

● **ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ**ჩემპიონატში მონაწილე 32 ნაკრების ბევრი მწვრთნელი უკვე გაანთავისუფლეს. ფინალური მატჩის შემდეგ ნაკრებს დატოვებენ ბრაზილიელი მარიო ზაგალო და ფრანგი ემე ჟაკეტ. მანამდე კი თავის გუნდს დაემშვიდობნენ: ერმან გომესი (კოლუმბია), ჰენრი კასპერჩაკი (ტუნისი), რენე სიმოეში (იამაიკა), ანრი მიშელი (მაროკო), ნელსონ აკოსტა (ჩილე), ალბერტო პარეირა (საუდის არაბეთი), ხრისტო ბონევი (ბულგარეთი), ბუნ-კუნ ჩა (კორეა), ჯორჯ ლიიკენსი (ბელგია), ანგელ იორდანესკუ (რუმინეთი), დანიელ პასარელა (არგენტინა).... თუ ბრაზილიამ მოიგო ფინალი, ეს მარიო ზაგალოს მწვრთნელისა და მოთამაშის მე-5 მსოფლიო თასი იქნება. 58 და 62 წლებში, როგორც მოთამაშის, 70-ში მწვრთნელის, 94-ში მწვრთნელი ასისტენტისა.

ᲘᲡᲘᲜᲘ ᲔᲕᲠᲝᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲖᲔ ᲘᲛᲡᲐᲯᲔᲑᲔᲜ

როგორც ცნობილია, სულ მალე ქართული საკლუბო საფეხბურთო გუნდები ევროტურნირებში ჩაებმებიან. უეფამ იმ მსაჯთა ვინაობა გამოაცხადა, რომლებიც მატჩებს მოემსახურებიან.

თბილისში, „დინამოსა“ და ალბანეთის „ვლაჟნიას“ ჩემპიონთა ლიგის 22 ივლისის შეხვედრას მოემსახურებიან შვეიცარიელი მსაჯები კარლო ბერტოლინის მეთაურობით, ერთი კვირის შემდეგ კი განმეორებით მატჩს გაუძღვება მალტელი ალფრედ მიკალევის ბრიგადა. ამავე რიცხვებში, ფოთის „კოლხეთი-1913“ უეფას თასზე ეთამაშება იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდას“. ფოთში იმსაჯებს ბელგიელი ერიკ ბლერე, ხოლო ბელგრადში – ესპანელი ხუან ანსუანეტ როჩა.

თასების თასზე, 13 აგვისტოს, ბათუმში ადგილობრივი „დინამოსა“ და იუგოსლავიის „პარტიზანის“ მატჩს მოემსახურება ჰოლანდიელი ჰერმან ვან დიკი, განმეორებით შეხვედრას ბელგრადში კი იმსაჯებს იტალიელი პასკუალე როდომონტი.

შევიტყვეთ ისიც, რომ ევროტურნირების ამ ეტაპზე 27 აგვისტოს თასების თასზე ბუდაპეშტის მტკ-სა და ფარერების „დი გოტეს“ შორის შეხვედრას ჩვენი თანამემამულე, ლანჩხუთელი ოთარ გუნთაძე გაუძღვება.

... და, კვლავ ყიფიანი

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲘᲮ. ᲛᲔ-5 ᲒᲕ.

«ᲚᲔᲚᲝᲡ» ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
14 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ «ᲚᲔᲚᲝ» ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ

ᲚᲔ -Ს ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲕᲔᲢᲘ

ᲪᲝᲢᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲒᲐᲕᲘᲡᲐᲠᲯᲝᲗ, ᲐᲜᲣ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ ᲙᲐᲠᲖᲔ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲕᲘᲙᲐᲙᲣᲜᲔᲑᲡ...

ქართულმა სპორტმა იგივე კატაკლიზმები იწვნია ბოლო წლებში, რაც კულტურამ და ხელოვნებამ, მეცნიერებამ, განათლებამ თუ სხვა დარგმა და სფერომ. მაგრამ ყველა გაჭირვება ხომ ერთგვარი გამოცდაცაა, საიდანაც ხელების ჩამოშვებით თავს ვერ დააღწევ. ცხადია, სხვისი იმედი უნდა გქონდეს, მაგრამ ყველაზე მეტს მაინც თავად უნდა ეცადო. ჩვენი სპორტული ფედერაციების საცოდაობით, როგორც იტყვიან, ქვაც ატირდება, მაგრამ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ისინი ნაკლებად თუ იწუხებენ თავს გაჭირვებიდან ნაწილობრივ მაინც გამოსავლის ძიებით. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა სპორტი სახელმწიფოს ნებიერა იყო, ქვეყნის მწირმა ბიუჯეტმა საქართველოში ამ სფეროს განვითარების რიტმი ძველებურად ვეღარ უზრუნველჰყო. დაუჯერებელია, რომ, გარდა სპორტის დეპარტამენტიდან დაფინანსებისა, ფედერაციებმა მოინდომონ და დამატებითი სახსრები ვერ მოიძიონ. თუ ვინმეს ჰყავს ავტორიტეტული ხალხი, სპორტსაც ჰყავს და მათ შესაძლებლობებიც, ამ საქმეში, უფრო ეფექტურად უნდა გამოვიყენოთ. სამწუხაროდ, სპონსორთა ინსტიტუტის სისტემაც ვერ ამუშავდა. ხანდახან გაოცდები კიდეც, ის, ვისაც შეუძლია დაეხმაროს ქართულ სპორტს, პირიქით, იქით ითხოვს მისგან სიკეთეს. არ გვინდა უსიამოვნო შედარება ვიხმაროთ, მაგრამ თუ ვინმემ გაიგო ესა და ეს ბიზნესმენი გულმოწყალეა სპორტისადმი, კარს აუტალახიანებენ, ლოგიკა მარტივია: ძუნწს არავინ შეაწუხებს. მაგრამ ხომ არ შეიძლება ერთი და ორი კეთილი კაცის ჯიბეზე გადაიაროს ყველას პრობლემამ, ამიტომ მეტი მოძრაობა და ძიებაა საჭირო, მეტი ბიზნესმენი უნდა ამოვიყენოთ გვერდში. სხვათა შორის, ვინც ბეჯითობს, აღწევს კიდეც მიზანს, ამას ადასტურებს „ლელოს“ მცდელობაც ყოველთვიურად გამოავლინოს საუკეთესო სპონსორი.
მოკლედ, ცოტა მეტი გავისარჯოთ, ბედსაც ძიება უნდა...

მსოფლიოს სპორტსმენთა ფორუმზე საქართველოს დროშა ფრიალებს

(პირველი გვერდიდან)

ჩვენი სპორტული მისიის ხელმძღვანელი ვალერი ჩოლორაია, საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები, წინა დღეს, ჩვენთვის ყველასთვის პირველი სასიხარულო ცნობა მოედო ქვეყანას, როგორც იცით, საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა ქვეჯგუფში დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა აშშ-ს ნაკრები 1-0. ატლანტაში ოლიმპიადის პირველი დღეებისაგან განსხვავებით (დეტალური გახსენება აღარ ღირს), ქართველი ფეხბურთელების ამ წარმატებამ მთელი ჩვენი დელეგაცია აღაფრთოვანა, შეაგულიანა კიდეც და მოსკოვში ამაღლებული განწყობით ჩავიდნენ.

პრაქტიკული სვირნოვი: „ამერიკელებთან თამაშს დავესწარი და პირდაპირ ბეტყვეთი, მატჩამდე დიდი მითქმა-მოთქმა იყო. საქართველოს ნაკრებს აქ თამაშების ერთ-ერთ გამოკვეთილ ფავორიტად მიიჩნევენ.და სულაც არ გაგვკვირვებია, რომ სპეციალისტები და ექსპერტები ამ შეხვედრას ბლომად ეს-წრებოდნენ, გულმოდგინედ ინიშნავდნენ ჩვენების გვარებს და თამაშის მანერას უბის წიგნაკში. თუმცა ერთადერთი გოლი მაშინ გავიდა (რევაზ გოცირიძე), როცა ისინი იყო იწურებოდა მატჩის პირველი ნახევარი, საერთო შთაბეჭდილებამ შედეგი დაჩრდილა – ჩვენების კარგი თამაში მაქვს მხედველობაში. განსაკუთრებული მოწონება ხვდა ლევან ჩაჩუას, რომელიც საყრდენ ნახევარმცველად თამაშობს. ეს ახალგაზრდა, სიმაღლით და შთაბეჭდავი ფიზიკური აღნაგობით გამოირჩევა. იგი, როგორც იტყვიან, გუნდის სული და გულია, ნაკრების ხელმძღვანელობა მასზე დიდ იმედებს ამყარებს.“

ფეხბურთელების კვალდაკვალ, 11 ივნისს ჩაებმებიან თამაშებში კალათბურთელები, ჩოგბურთელები და მაგიდის ჩოგბურთელები.

კვირას კი მოფარიკაკეები აიღებენ იარაღს ხელში. ამ გუნდების მთავარმა მწვრთნელებმა საქართველოს სპორტული დელეგაციის შტაბში დაწვრილებით ისაუბრეს მზადყოფნაზე. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვით, რომ ჩვენს შტაბში ყველა წვრილმანი ზუსტდება, რაც დაკავშირებულია თამაშებთან, განაწილებულია ფუნქციები, რათა აბსოლუტურად გამოირიცხოს ყოველგვარი შეცდომა თუ გაუგებრობა. შტაბშივე შევიტყვეთ, რომ დევიზით „ოლიმპიური იმედი“ არაოფიციალურად იასპარეზებენ სამბოს ოსტატები. გესმით, ალბათ, სამბოს რუსეთის პირმშოდ მიიჩნევენ და ორგანიზატორებმა მიაღწიეს თამაშებში იგი ჩაერთოთ როგორც საჩვენებელი პროგრამა, თუმცა გამარჯვებულებს და პრიზიორებს იგივე პატივს მიაგებენ, როგორსაც სხვა მონაწილეებს. თავიდან გადაწყვეტილი იყო ჩვენი ნაკრების, როგორც მსოფლიოში სამბოს აღიარებული ქვეყნის წარმომადგენლების მონაწილეობა. საგანგებო მიწვევაც მიიღო საქართველოს სამბოს ფედერაციამ, მაგრამ უსახსრობის გამო გამგზავრება სათუო გახდა. ფედერაციამ ბოლოს თავად გაახერხა თანხები და მივიღეთ ინფორმაცია, რომ ნაკრები თბილისიდან 12 ივლისს მოემგზავრება მოსკოვში. საორგანიზაციო კომიტეტმა სამბოს მთავარ მსაჯთა კოლეგიას უკვე გადასცა ჩვენი ფედერაციის განაცხადი, სადაც ამოვიკითხეთ საქართველოს ნაკრების შემადგენლობა: ლაშა მიქაბერიძე, მერაბ ლაგვილავა, თამაზ ნეფარიძე, თემურ ნეფარიძე, ივანე ნადირაშვილი, ლევან ანთაძე, მიხეილ ჩხეიძე და დავით ტატაშვილი. უფროსი მწვრთნელია ემილ რაში. ასე რომ, თითქმის სრული გუნდით წარვსდგებით არენაზე – სამბოში 9 წონითი კატეგორიაა და ჩვენ რვა მონაწილე გვეყოლება. დავძენთ, რომ ეს შეჯიბრება პირად-გუნდურია.

P.S. ესესაა ცნობილი გახდა, რომ გუნდს შეიძლება შეემატოს მეცხრე მონაწილე – კობა ხორგუაშვილი.

გზა მანგლისისაკენ, გზა ალორძინეგისაკენ!

ზაზა მარუაშვილმა და ვაჟა ჭკუასელმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, თუ როგორ ზრუნავენ ბავშვებზე და ბავშვთა სპორტზე

თბილისის მერიის განათლების განყოფილების მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობამ, რომელსაც ზაზა მარუაშვილი თავკაცობს და ამ სამმართველოს მოსწავლეთა ფიზიკულტურულ-სპორტულმა გაერთიანებამ ვაჟა ჭკუასელის ხელმძღვანელობით ბავშვთა სპორტისა და, საერთოდ, ნორჩ სპორტსმენთა საკეთილდღეოდ კიდევ ერთი ძველი ტრადიცია გააცოცხლეს – სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი შექმნეს მანგლისში და იქ სპორტის რამდენიმე სახეობის მოსწავლე-სპორტსმენი გაგზავნეს შეკრებაზე. ბანაკს განათლების გამოცდილი მუშაკი უშანგი თეთრაშვილი უდგას სათავეში. 8 ივლისს, რესპუბლიკის მოედნიდან, საზეიმო ვითარებაში გააცილეს ნორჩები მათთვის ესოდენ სასურველ და საჭირო საზაფხულო ბანაკში.

„ბუმათე“

სტეფანია: ჯერ ბევრი რამაა გასარკვევი

კალათბურთის გულშემატკივართათვის კარგად არის ცნობილი ვლადიმერ სტეფანიას სახელი, მით უმეტეს ახლა, როდესაც „დიდი მწვერვალი დაიპურო“. ხუმრობა არაა ნბა-ში მოხვედრა.

— დარწმუნებული ვარ, რომ „ოლიმპიაში“ აღარ ვითამაშებ, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტით იქ კიდევ ერთი წელი უნდა დავრჩენილიყავი. ეს გუნდი გაუიდვას მიპირებს, გაისად ჩემით ვეღარ ისარგებლებენ. თავდაპირველად 2 მილიონ დოლარს ითხოვდნენ, მაგრამ, როცა დაინახეს, რომ ასეთ არარეალურ თანხას არც ერთი კლუბი არ იძლევოდა, დათმობაზე წავიდნენ და ახლა მინიმალურს სჯერდებიან — თქვა თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ პრესკონფერენციაზე ვლადიმერ სტეფანიამ.

— ჩემდა სამწუხაროდ, ნბა-ში არასახარბიელო ატმოსფერო სუფევს. გუნდები გაფიცულია, შესაბამისად ტრანსფერებიც აკრძალულია, დაკეტილია ოფისები, დარბაზები. ლიგის თავკაცობა 82-დან 62-მდე თამაშების შემცირებას ითხოვს, რაც ფინანსური თვალსაზრისით კლუბებს აზარალებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამგვარი სიტუაცია დიდხანს არ გასტანს, მით უმეტეს, რომ ყველა დეტალზე მოლაპარაკებული ვარ. კონტრაქტის ფურცელი შინ მაქვს და ჩემი ნელმოწერაღა აკლია. თუ ყველაფერი ლოგიკურად მოგვარდა, სექტემბრის ბოლოს სიეტლში ჩავალ. ჯერ ბევრი რამაა გასარკვევი.

— წინასწარვე შეგუებული ვარ, რომ შეიძლება პირველი წრე საერთოდ არ მათამაშონ. მაგრამ ანალოგიური საფეხური განვლო ყველა დიდმა კალათბურთელმა, მაგალითად, საბონისმა, კუკოჩმა. მირჩევნია ანაზღაურება შედარებით დაბალი მქონდეს და პროფესიონალებში გავიზარდო. თუმცა იმასაც ვერ გამოვრიცხავ, ევროპაში დარჩენა კიდევ ერთი წელი მომიხდეს, ოღონდ არა „ოლიმპიაში“.

— რაც შეეხება ჩემს მენეჯერს, იგი იტალიელი გახლავთ. მასთან უთანხმობა მომივიდა და ალბათ ურთიერთობას შევწყვეტ. სხვა მენეჯერებიც არიან ჩემით დაინტერესებულნი, რომელთაგანაც უკეთესს შევარჩევ. ყველა ევროპელ კალათბურთელს 22 წლის ასაკიდან უფლება აქვს თავისი კანდიდატურა დრაფტზე წარადგინოს, რა თქმა უნდა, თუ ამერიკელებიც არიან დაინტერესებულნი. წლეულს ევროპიდან ოთხნი მოვხვდით. თავიდან ჩემს ასაკვანად „ფინქსი“ უფრო აქტიურობდა, მაგრამ საბოლოოდ „სიეტლმა“ გაიმარჯვა.

— შტატებში, უოფნისას, გუნდის მთავარ მწვრთნელს ვესაუბრე. მას ცენტრის პოზიციაზე ვდგომებივარ. მე უფრო მე-4 ნომრად თამაშს ვფიქრობდი, მაგრამ გუნდის ინტერესები პირადულზე მაღლა უნდა დავაყენო, ყველაფერს ვეცდები, ადაპტაციის პერიოდმა მალე ჩაიაროს და კარგი თამაში ვაჩვენო. თან ვფიქრობ, რომ ამ მხრივ გამმართლა კიდეც: „ლოს-ანჯელეს ლეიკერსში“ რომ ჩავრიცხულიყავი, სკამზე მომიწევდა ჯდომა. შაილ ო'ნილს ცენტრის პოზიციაზე ხომ ბადალი არა ჰყავს. ჩემი ბედი, რომ „სიეტლში“ აღმოვჩნდი, სადაც ამ პოზიციაზე გამოკვეთილი ლიდერი არაა და შესაბამისად ჩემი შანსებიც გაიზარდა.

— გავეცანი იქაური ვარჯიშების სპეციფიკასაც, ევროპულზე დიდი დატვირთვა არ არის, უბრალოდ, სხვა სისტემით ვარჯიშობენ.

— ერთადერთი, რაზეც ვღელავ, ეს ეროვნული ნაკრებია. ჩემი საკვალიფიკაციო მატჩებში მონაწილეობა პრაქტიკულად, გამორიცხულია, ფინალურ სტადიაში გასვლის შემთხვევაში კი ყოველთვის შზად ვიქნები გუნდს დავეხმარო.

გოგა ლომიძე

სპორტი — ყველასათვის!

კვირეულმა იმერეთსაც „გადაუარა“

სეოკის იმერეთის სამხარეო ორგანიზაციამ (თავმჯდომარე რ. რობაქიძე) შეაჯამა ამ რეგიონში „ოლიმპიური კვირეულის“ დღეებში გამართული სპორტული ღონისძიებების შედეგები. ჩვენი კორესპონდენტის ზ. ჯავახაძის მიერ „ლელაში“ გამოგზავნილ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ კვირეულის ეპიცენტრი ქუთაისი იყო. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია გარბენმა, რომელშიაც სხვადასხვა ასაკის 350-მდე სპორტისა და ჯანმრთელობის მოყვარული დადგა სტარტზე. აქ და სხვა სახეობებში გამარჯვებულები და პრიზიორები სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვა ცნობილმა ქუთაისელმა ფალავანმა, ფირმა „ოლიმპის“ თავკაცმა თეიმურაზ აფხაზავამ.

ასევე წარმატებით ჩაიარა „ოლიმპიურმა კვირეულმა“ საჩხერის, თერჯოლის, ზესტაფონის, ბაღდადის რაიონებში, ტყიბულსა და ჭიათურაში, მთელს იმერეთში.

რ. რობაქიძემ 650-ზე მეტი ოლიმპიური მაისური დაურიგა კვირეულის მონაწილეებს.

8 ივლისს „ლაგუნა-ვერეს“ საცურაო კომპლექსში გაიხსნა ფესტივალი, რომელსაც ატარებს საქართველოს ინვალიდთა სპორტული ფედერაცია საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაზიანებულ ინვალიდებისათვის. ფესტივალი 12 ივლისამდე გასტანს.

სურათზე: მაგიდის ჩოგბურთელთა და მოჭადრაკეთა ასპარეზობა

საიდან გუნდა მოსკოვიაო...

გალის ახალი ტრაგედიის შემდეგ საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელდა ოფიციალური წყაროებიდან მიწოდებული ცნობა იმის თაობაზე, რომ წარსულში ცნობილი მძლეოსანი ქალი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი საიდა გუნბა აფხაზ ბოევიკებთან და მათ მიერ დაჭერილებულებთან ერთად, ერთ-ერთ სადამსჯელო ჯგუფში განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდა ქართველ მოსახლეობას გალის რაიონის სოფლებში.

სულაც არ არის გასაკვირი, რომ ამ ცნობის გავრცელების შემდეგ ბევრი რეკავს „ლელაში“, ზოგს სურს მეტი შეიტყოს გმირების მიმდინარეობაზე, ზოგიც ირწმუნება, რომ ყველაფერი ტყუილია, საიდა გუნბა მოსკოვში ცხოვრობს და არაფერი აქვს საერთო სეპარატისტებთან. ვაცნობებთ ყველას, რომ ჩვენი რედაქცია აუცილებლად შეეცდება გაარკვიოს სიმართლე.

მკითხველი – გაზეთი

შეკითხვა: ბოლო წლებში ერთგვარი გაურკვეველი ვითარება შეიქმნა ქვეყნის სპორტული ბაზების ბედთან დაკავშირებით. დადის ხმები, თითქოს ყველა თუ არა, ბაზების უმრავლესობა პრივატიზებულია ან განსახელმწიფოებრიობის პროცესშია. თუ შესაძლებლობა გაქვთ, გთხოვთ გვაუწყოთ, რომელი სპორტული ბაზები დარჩა სახელმწიფოს, რომელი გაიყიდა, რომელია განსხვისებისთვის გამზადებული?

მ. ბუჯაბიძე, ბორჯომი

პასუხი: ჩვენს ხელთაა იმ სპორტული ბაზების ნუსხა, რომელიც დღემდე ირიცხება სახელმწიფოს ანუ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ბალანსზე – ესენია თბილისში: ცენტრალური ველოდრომი, ძიუდოს დარბაზი, სანიჩბოსნო ბაზა მტკვარზე, ალპური კლუბი, ჭადრაკის სასახლე, სასწავლო-სანვრთნელი ცენტრი „ვარკეთილი“, ვაკის სამდარბაზიანი კომპლექსი, ფარიკაობის დარბაზი, ძალოსნობის დარბაზი, კრიჭის დარბაზი, ფალავანთა კლუბი, დაბა ბაკურიანის სამთო-სათხილამურო სპორტული კომპლექსი, დაბა ლესელიძის სასწავლო-სანვრთნელი ცენტრი, ფოთის სანიჩბოსნო ბაზა, დაბა ეშერის ცენტრალური სპორტული ბაზა, გალის რაიონის სანიჩბოსნო სასწავლო-სანვრთნელი ცენტრი.

მესტიასა და ახმეტაში „სპორტის დედოფალს“ ისევ ეთაყვანებიან

მძლეოსნობა • საქართველოს პირველობა

ეს იყო 1984-85 და 1982-83 წლებში დაბადებულთა შეჯიბრება, რომელშიაც მონაწილეობის მისაღებად განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპორტულმა სკოლამ (დირექტორი რეზო ოდიშარია) საქართველოს იმ რაიონებიდან და ქალაქებიდან მოიწვიეს მძლეოსნები, სადაც სპორტული სკოლები მუშაობს ან ჯგუფებია გახსნილი. თუმცა, გორმა, ხარაგაულმა, ონმა, ამბროლაურმა და თიანეთმა თავი აარიდა შეჯიბრებაში მონაწილეობას და გაჩნდა ეჭვი, რომ ამ რაიონებში მძლეოსნობა ქაღალდზე რჩება და, ალბათ, შტატების გაუქმების საკითხი დადგება დღის წესრიგში.

კვარცხლბეკი:

1984-85 წლებში დაბადებულები. გოგონები. 100 მ: 1. გვანცა ჯოჯუა – 13,0 (მცხეთა), 2. ლიანა ფირცხალავა (აჭარა) – 13,5, 3. ირინა ხოროშვა (თბილისი) – 13,7; *200 მ:* 1. იულია დუბინა – 26,8, 2. ეკატერინა ბაეგა – 28,3, 3. ანა პოდოსიანი (სამეგრელო – თბილისი) – 29,3; *400 მ:* 1. დუბინა – 1.01,4, 2. თამარ ბუცხრიკიძე (ქუთაისი) – 1.04,3, 3. ბაეგა – 1.06,0; *800 მ* 1. სოფიკო გობოზოვა (ჭიათურა) – 2.25,3, 2. ბუცხრიკიძე 2.30,4, 3. ლენა კობერიძე (ჭიათურა) 2.35,0; *1500 მ:* 1. ნინო ქვლივიძე (საგარეჯო) – 5.21,5, 2. გიული დეკანაძე (ვანი) – 5.26,1, 3. თამთა ჯაფარიძე (მესტია) – 5.55,7; *სიმაღლე:* 1. გაიანე აბოიანი (ქარელი) – 1.40, 2. ნათელა მირიანაშვილი (ყვარელი) – 1.30 (ორი მონაწილე); *სიგრძე:* 1. ტატიანა ბონდარენკო – (თბილისი) – 4.29 (ერთი მონაწილე); *ბადრო:* 1. ნათია ლურსმანაშვილი (ხაშური) – 18.17 (ერთი მონაწილე). *შუბი:* 1. ანა უტიაშვილი (თბილისი) – 25.42, 2. ნინო ჭურდოვანიძე (საგარეჯო) – 24.97 (ორი მონაწილე); ბირთვი: 1. ნინო მელაძე (თბილისი) – 10.98, 2. სოფო ადეიშვილი (სამტრედია) – 9.57, 3. მარიკა პოდოსიანი (თბილისი) – 8.72.

ჭაბუკები. 100 მ: 1. აბესალომ ბუკია (ფოთი) – 12,0, 2. ირაკლი ნიავაძე (რუსთავი) – 12,1, 3. ზურაბ წერეთელი (თბილისი) – 12,2; *200 მ:* 1.კობა ჯიგილიანი (თბილისი) – 25,0, 2. წერეთელი – 25,2, 3. ლევან ფაჩულიანი (ფოთი) – 25,6; *400 მ:* 1. ფაჩულიანი – 56,5, 2. გოჩა ხაჩიძე (ხაშური) – 57,8, 3. დავით შონია (ზუგდიდი) – 1.00,9; *800 მ:* 1. არსენ ხაადე (ახმეტა) – 2.12,2, 2. ივანე შალოშვილი (ყვარელი) – 2.23,9, 3. გურამ ბიბილურიძე (თბილისი) – 2.27,2; *1500 მ:* 1. ხაადე – 4.52,0, 2. შალოშვილი – 5.01,3, 3. დავით გილაშვილი (საგარეჯო) – 5.05,2; *თარჯრბენი. 110 მ:* 1. ბუკია – 16,7, 2. დავით გვიჩია (ფოთი) – 16,9 (ორი მონაწილე); *სამტრიმი:* 1. ბესო კალანდაძე (ოზურგეთი) – 10.30 (ერთი მონაწილე); *სიგრძე:* 1. ხაჩიძე – 5.13, 2. გერასიმე პოროუბკოვი (აჭარა) – 5.08, 3. ბესო კალანდაძე (ოზურგეთი) – 4.86; *ბადრო:* 1. მამუკა ტუღუში – 27.30, 2. შახი მახარაძე (ორივე – ოზურგეთი) – 24.14, 3. გიორგი ლურსმანაშვილი (ხაშური) – 17.50.

მონაწილენი სამ ჯგუფად დაიყვნენ. ადგილები ასე განაწილდა: *I ჯგუფი.* 1. თბილისი – 298 ქ, 2. აჭარა – 140, 3. ოზურგეთი – 100; *II ჯგუფი.* 1. ფოთი – 132, 2. ჭიათურა – 73, 3. ზუგდიდი – 71; *III ჯგუფი.* 1. ახმეტა – 80, 2. ქარელი – 70, 3. ყვარელი – 60.

1982-83 წლებში დაბადებულები. გოგონები. 100 მ: 1. მარინა ჯაბაძე (ახმეტა) – 13,1, 2. მარიანე შულაია (ზუგდიდი) – 13,3, 3. ნათია ბაღდავაძე (თბილისი) – 14,0; *200 მ:* 1. ჯაბაძე – 26,7, 2. ნინო ბურნაძე (ბორჯომი) – 27,2, 3. თინა მაისურაძე (ოზურგეთი) – 27.2; *400 მ:* 1. მაისურაძე – 1.01,5, 2. ბურნაძე – 1.01,7, 3. მაკა დარბაისელი (საგარეჯო) – 1.02,8; *800 მ:* 1. ნანა კაპანაძე – 2.25,3, 2. ალესია ალეშნიკოვა (ორივე – თბილისი) – 2.36,2, 3. ნანა კვარაცხელია (ბორჯომი) – 2.47,7; *1500 მ:* 1. კაპანაძე – 4.59,3, 2. ნანა გუთანაიძე (ახმეტა) – 5.05,2, 3. თეა მოდებაძე (ვანი) – 5.22,1; *3000 მ:* 1. გუთანაიძე – 10.48,9, 2. მოდებაძე – 11.04,1 (ორი მონაწილე). *სპორტული სიარული. 3000 მ:* 1. ტატიანა ყანჩაველი – 18.41,7, 2. სოფიკო სულაბერიძე (ორივე – ქუთაისი) – 19.19,4, 3. ოქსანა აბიკოევა (აჭარა) – 20.00,5; *სიგრძე:* 1. შულაია – 4.57, 2. ნატაშა კობერიძე (ჭიათურა) – 4.56, 3. ეკა ბანძელაძე (თბილისი) – 4.29; *ბადრო:* 1. ნინო ძიძიშვილი (თბილისი) – 24.50 (ერთი მონაწილე); *ბირთვი:* 1. ქეთინო კოპალეიშვილი (ვანი) – 10.41, 2. ლია უგულავა – 8.60, 3. ეკა კვთილაძე (ორივე – ხონი) – 8.11; *შუბი:* 1.უგულავა – 35.88, 2. ირმა მჭედლიშვილი (თბილისი) – 33.24. 3. კვთილაძე – 32.10;

ჭაბუკები: 100 მ: 1. გოჩა ჩხაფელია (თბილისი) – 11,6, 2. გია ჩაკვეტაძე (აჭარა) – 11,7, 3. ზურაბ სურმავა (თბილისი) – 11,7; *200 მ:* 1. დათო თავართქილაძე (ოზურგეთი) – 23,9, 2. ჩხაფელია – 24,3, 3. სურმავა – 24,5; *400 მ:* 1. დადაშ კუხალაშვილი – 53,4. 2. ალბერტ ბაღდასარიანი (ორივე – თბილისი) – 55,5, 3. თავართქილაძე – 55,7; *800 მ:* კუხალაშვილი – 1.58,8, 2. ალექსანდრე ზაკომოლდინი – 2.04,3, 3. მიხეილ მაისურაძე (სამეგრელო – თბილისი) – 2.13,0; *1500 მ:* 1. ზაკომოლდინი – 4.22,0, 2. გიორგი გოგოტიშვილი (ბორჯომი) – 4.34,2, 3. დიონეს კილიმკაროვი (ახალციხე) – 5.03,7; *3000 მ:* 1. გოგოტიშვილი – 9.49,3, 2. არტურ მანუკიანი (ბორჯომი) – 11.22,2 (ორი მონაწილე); *სპორტული სიარული. 5000 მ:* 1. მანუკიანი – 31.38,2, 28 დათო ონიაშვილია (აჭარა) – 33.50,4 (ორი მონაწილე); *თარჯრბენი, 110 მ:* 1. ირაკლი გერგაია (ფოთი) - 15,5 (ერთი მონაწილე); *სიმაღლე:* 1. ვაჟა ბოძაშვილი (ბარდანანი) – 1.65, 2. ირაკლი ჩაჩუა (სამტრედია) – 1.65, 3. იაგო კობერიშვილი (ქარელი) – 1.60; *სამხტომი:* 1. გერგაია – 12.41, 2. გიორგი ქარდეიშვილი (ოზურგეთი) – 12.08 (ორი მონაწილე); *ბირთვი:* 1. როსტომ ჭინჭარაული (14.08), 2. გიორგი კარახაშვილი (ორივე – თბილისი) – 13.83, 3. გივი ჩიბურდანიძე (ქუთაისი) – 13.46;

სიგრძე: 1. გია ჩაკვეტაძე (აჭარა) – 6.35, 2. იოსებ ქადეიშვილი (ოზურგეთი) – 5.76, 3. თემურ ცინდელიანი (მესტია) 5.65; *ბადრო:* 1. ყანსავ ჯაფარიძე – 38.72, 2. დათო მუშკუდიანი (ორივე – მესტია) – 33.56, 3. დენის პინჩუკოვი (თბილისი) – 32.60; *შუბი:* 1. ჭინჭარაული – 45.16, 2. ჩიბურდანიძე – 43.00, 3. გოჩა აბშილავა (აჭარა) – 42.70.

ბუნდური: I ჯგუფი. 1. თბილისი –301, 2. ქუთაისი – 212, 3. აჭარა – 191,75; *II ჯგუფი:* 1. ზუგდიდი – 103, 2. ფოთი – 102, 3. ვანი – 63; *III ჯგუფი:* 1. ახმეტა – 95, 2. ხონი – 83, 3. მესტია – 70.

პარალელურად ნება დართეს მოზრდილებსაც ეასპარეზათ, რაც საქართველოში სტარტების ნაკლებობითაა გამართლებული. სხვათა შორის, უსახსრობის გამო, ამ დღეებში ვერ ჩატარდა დაგეგმილი ეროვნული ჩემპიონატი; რომლის დაფინანსებას და ჩატარებას ახლა სექტემბერ-ოქტომბერში ვარაუდობენ. განათლების სამინისტრომ კი ზემოხსენებულ პირველობაში ყველა ხარჯი გაიღო, გარდა მონაწილეთა გზის ფულისა. გასახარია, რომ გამოჩნდნენ პერსპექტიული მოზარდები მესტიიდან და ახმეტიდან.

მიხეილ ფუფუნავა

XVI მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

FRANCE 98
COUPE DU MONDE

მეორე ფინალისტი საფრანგეთია!

მატჩი 62. ნახევარფინალი. სენ-დენი. „სტად დე ფრანსი". 76000 მაყურებელი.

საფრანგეთი — ხორვატია 2-1 (0-0)

საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი, ბლანი, დესაი, ლიზარაზიუ, კარამბე (ანრი, 65), დეშამპი, პეტი, ჯორკაეფი (ლებეფი, 75), ზიდანი, გივარში (ტრეზეგე, 69).

ხორვატია: ლადიჩი, სოლდო, სიმაჩი, სტიმაჩი, ბილიჩი, სტანიჩი (პროსინეჩკი, 89), ასანოვიჩი, იარნი, ბობანი (მარიჩი, 65), შუკერი, ვლაოვიჩი.

გოლები: 0-1 შუკერი (46), 1-1, 2-1 (ტურამი, 47, 70).

გაფრთხილება: სტანიჩი, სიმიჩი, ასანოვიჩი.

გაძევება: ბლანი (74).

მსაჯი: ხოსე მარია გარსია არანდა (ესპანეთი).

მატჩის შემდეგ

მიროსლავ ბლაჟევიჩი (ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „საფრანგეთის ნაკრები გამარჯვებას იმსახურებდა, მაგრამ უნდა ვაღიარო, ცოტა მეტი სიფრთხილე რომ გამოგვეჩინა, კვირას ბრაზილიას ჩვენ შევხვდებოდით. საფრანგეთმა გოლი რომ გაუშვა, ჩვენი ფეხბურთელები მოუშვნენ, თვითდამშვიდებას კი ფეხბურთი არავის აპატიებს. ფრანგებმა სხარტი და დიდებული პასუხი გაგვცეს, ანგარიში რომ გაათანაბრეს, ძალა მოემატათ და გადამწყვეტი ჩხვლეტა მოგვაყენეს. მასპინძელთა ნაკრები ძალიან შეკრული გუნდია და ფინალში ჩვენ მას ვუგულშემატკიცებთ".

ემე ჟაკე (საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „ორმაგად ბედნიერი ვარ, ვინაიდან დიდებულად ვითამაშეთ, თავი გაგვატანინა ერთსულოვნებამ და ფსიქოლოგიურმა სიმტკიცემ. ჩემს სიხარულს აფერმკრთალებს მხოლოდ ლორან ბლანის მინდვრიდან გაძევება, ფინალურ მატჩში უიმისოდ ძალიან გაგვიჭირდება, თუმცა, ბრაზილიელებსაც ექნებათ დანაკარგი — არ ითამაშებს ორი ყვითელბარათიანი სეზარ სამპაიო. და მაინც სამხრეთამერიკელებს დიდი უპირატესობა აქვთ — ფინალამდე ერთი დღით მეტს დაისვენებენ. საგანგებოდ მინდა გამოვყო ლილიან ტურამის გარჯა ამ ჩემპიონატზე. იგი შეუდარებელია და გუნდის ერთ-ერთი ლიდერია".

შაკ შირაკი (საფრანგეთის პრეზიდენტი): „დღეს ფრანგული სპორტის ზეობა იყო. მინდა საგანგებოდ მადლობა გადავუხადო ლილიან ტურამს და საერთოდ მთელ გუნდს. ეს ფანტასტიკური, ჯადოსნური საღამო იყო".



გამოვლინდა მეორე ფინალისტიც — საფრანგეთის ეროვნული ნაკრები. ხორვატები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ჩემპიონატის მასპინძლებთან ვერაფერს გახდნენ. კვლავ ძლიერად ითამაშა ფრანგთა მეკარემ ფაბიენ ბარტრეზმა (ზედა ფოტოზე) და განსაკუთრებით ორი გოლის გამტანმა მცველმა ლილიან ტურამმა. ხორვატებს მეტოქე ლორან ბელანის მინდვრიდან გაძევებამაც ვერ უშველა.

წინა დღით კი ჩემპიონატის მთავარ მატჩში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ბრაზილიის ნაკრებმა. ჰოლანდიის ნაკრებთან თავი გამოიჩინა მეკარე ტაფარელმა, რომელმაც პენალტების სერიაში ორი ძნელადასაღები დარტყმა უვნებელჰყო. მსოფლიო ჩემპიონების მთავარ მწვრთნელს მარიო ზაგალოს წარმატება პირველად მეტოქეთა მწვრთნელმა გუუს ჰიდინკმა მიულოცა.

FRANCE 98 INFORMATIONS

ბებეტო მართალია?

ბრაზილიელი ვეტერანი ბებეტო ბევრი ექსპერტისათვის მოულოდნელად ამ ჩემპიონატში წარმატებით გამოდის. აი, რა განაცხადა მან:

— ბრაზილიას ისეთი ძლიერი ნაკრები, ახლა რომ ჰყავს, არასოდეს ჰყოლია. შეტისმეტად საწყენი იქნება, რომ ჩვენ ვერ მივაღწიოთ წარმატებას. საამისოდ ძალ-ღონე არ უნდა დავიშუროთ.

ძალიან კარგი ანაზღაურება, ძალიან „ძვირი" სასჯელები

როგორც პრესასთან ურთიერთობის საკითხებში ფიფას წარმომადგენელმა კეიტ კუპერმა განაცხადა, მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ნაკრებები „ძალიან კარგ ფულად ანაზღაურებას მიიღებენ".

ეს თანხები ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციებს ჩაბარდება და სწორედ მათ უნდა გადაწყვიტონ, რამდენს მიიღებენ მოთამაშეები და რამდენი მოხმარდება ფეხბურთის განვითარებას მათ ქვეყნაში.

კუპერმა განაცხადა, რომ ფიფამ გადაწყვიტა წინასწარ ეტაპზე მონაწილე თითოეულ ნაკრებს თამაშზე დაახლოებით 4 მილიონი ფრანკი (660 ათასი დოლარი) გადაუხადოს. რახან ასეთი მატჩი სამი იყო, ეს გუნდები თითქმის ორ მილიონ დოლარს მიიღებენ, ისინი კი, ვინც ფინალურ მატჩს ითამაშებს, თითოეული თითქმის ექვს მილიონ დოლარს მიიღებს.

როგორც კუპერმა თქვა, ფინალური მატჩის ოცდათორმეტივე ნაკრებმა ადრევე მიიღო ნახევარ-ნახევარი მილიონი დოლარი, „მოთამაშეთა მომზადების პირობებისათვის". გარდა ამისა, მათ გადაეცათ დიდი დამატებითი თანხები სასტუმროში საცხოვრებლად და დასასვენებელი ბაზებისათვის. ყველა დელეგაციამ 45 კაცის რაოდენობით მიიღო ყოველდღიური სამივლინებო თანხა 250-250 დოლარის ოდენობით.

ამავე დროს, ფიფამ დააჯარიმა ყველა ის მოთამაშე, ვინც ყვითელი თუ წითელი ბარათი მიიღო. ყვითელი „ღირდა" 660 დოლარი, წითელი კი გაცილებით მეტი — 3,5 ათასი. ამასთან, თუ მოთამაშე განმეორებით ჩაიდენდა დანაშაულს, ეს თანხები მკვეთრად იზრდებოდა.

რონალდო: წონაში არ მომიმატია

რონალდო ხშირად ესაუბრება ჟურნალისტებს:

— წონის პრობლემა არა მაქვს, თუმცა ამაზე როგორღაც ბევრს ლაპარაკობენ. უველაფერს გავაკეთებ, რათა ბრაზილია მსოფლიო ჩემპიონი გახდეს. არ მაინტერესებს პირადი წოდებები — არც ჩემპიონატის №1 სნაიპერისა, არც საუკეთესო მოთამაშისა. ვინ არის დღეისათვის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე? ფრანგი ტიერი ანრი, ძალიან სწრაფი, მოქნილი, მოძრავი, ტექნიკური ახალგაზრდა თავდამსხმელი. უველაზე ლამაზი გოლი კი პარაგვაელმა ბენიტეზმა გაიტანა.

როგორც რონალდომ განაცხადა, მას ცოტათი სტკიოდა მარცხენა ფეხი და ამის გამო ადრე ვარჯიშიც კი გამოტოვა.

რონალდომ „სასაცილოდ" ჩათვალა ზოგიერთი მიმომხილველის მტკიცება, რომ ბრაზილიის ნაკრები სათანადოდ შეთამაშებული არ არის. „ამდენი გოლი გავიტანეთ! რა მოხდებოდა რომ შეთამაშებული ვყოფილიყავით?!

სეზარ სამპაიოს წიგნი ბიბლიაა

ბრაზილიელი სეზარ სამპაიო ღრმად მორწმუნე ადამიანია. იმ კითხვებზე, რაც აინტერესებს, პასუხს ბიბლიაში პოულობს, რომელსაც ყოველდღე კითხულობს, კვირაობით კი ეკლესიაში დადის.

სამპაიომ გაზეთ „ფოლია დი სანპაულუს" კორესპონდენტთან საუბარში აღიარა, რომ ნიგერიის ნაკრებთან წაგების შემდეგ გუნდში უკიდურესად დაძაბული ვითარება იყო. მოთამაშეები ერთმანეთს ადანაშაულებდნენ, საკუთარი შეცდომების აღიარება კი არავის უნდოდა. ნაკრები მხოლოდ მას შემდეგ დამშვიდდა, რაც მომდევნო შეხვედრა მოიგო ჩილელებთან.

ბაფარელი ქმაყოფილია

ბრაზილიის ნაკრების მეკარე ტაფარელს ადრე ხშირად აკრიტიკებდნენ, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის დროს რომ დგებოდა, მაინც სხვებს ამჯობინებდნენ. თუ 1990 წელს იტალიაში და 1994 წელს აშშ-ში მას ბევრი რამ უსაყვედურეს, ახლა გამოცდილი გოლკიპერი უფრო მოწონებას იმსახურებს.

— საუკეთესო მზადყოფნა მაქვს. თუ ჰოლანდიელებთან საქმე პენალტებამდე მივა, მზად ვარ მათ მოსაგერიებლად.

და აკი მოიგერია კიდეც...

დენილსონი მკვეთრად „გაძვირდა"

როგორც ბრაზილიური პრესა იუწყება, დენილსონი ამიერიდან წელიწადში 30 მილიონ დოლარ გასამრჯელოს მიიღებს. მისი მარჯვენა ფეხი ათ მილიონ დოლარად არის დაზღვეული. შედარებისათვის — რივალდოს წლიური შემოსავალი 27 მილიონი დოლარია, რობერტო კარლოსის — 23, ზინედინ ზიდანისა კი „მხოლოდ" 3 მილიონი.

FRANCE 98
INFORMATIONS

გოლეადორები

დავორ შუკერი (ხორვატია), გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა), კრისტიან ვიერი (იტალია) – 5-5 გოლი.

რონალდო (ბრაზილია), ლუის ერნანდესი (მექსიკა), მარსელო სალასი (ჩილე) – 4-4.

ბებეტო, სეზარ სამპაიო, რივალდო (სამივე – ბრაზილია), იურგენ კლინსმანი, ოლივერ ბირჰოფი (ორივე – გერმანია), დენის ბერგკამპი (ჰოლანდია) – 3-3.

დისკვალიფიცირებულნი

ჩემპიონატის ორ დასკვნით მატჩში 11 და 12 ივლისს ვერ ითამაშებენ სასჯელდადებული ფეხბურთელები: სეზარ სამპაიო (ბრაზილია), ლორან ბლანი (საფრანგეთი), არტურ ნუმანი (ჰოლანდია), დარიო სიმიჩი (ხორვატია).

როცა ნაწილობრივი მარცხი საერთო მარცხად გადაიზარდა

იმის მიუხედავად, რომ გერმანიის ნაკრები მეოთხედფინალიდან გამოეთიშა ჩემპიონატს, ბერტი ფოგთსმა მაინც გადაწყვიტა მადლობა გამოეცხადებინა თავისი მოთამაშეებისათვის. მან თქვა, რომ გუნდი მარცხიანად კი გამოვიდა, მაგრამ ცუდი ბაზა არ შეუქმნია მომავალი ნაკრებისათვის, რომელსაც, ცხადია, სულ სხვა მწვრთნელი უხელმძღვანელებს.

მიმომხილველებს გერმანელების წარუმატებლობა კანონზომიერად მიაჩნიათ. ისინი აგებდნენ იუგოსლავიელებთან და გადარჩნენ, აგებდნენ მექსიკელებთან და აქაც გადარჩნენ, ბოლოს კი ნაწილობრივი მარცხი საერთო მარცხად გადაიზარდა.

ფოგთსისგან განსხვავებით, ლოთარ მათეუსი წაგებაში მსჯს ადანაშაულებს:

— ვერნსის მინდვრიდან გაძევება სრულიად უსამართლო იყო, იგი ხომ ბურთისთვის იბრძოდა, შუკერის დაშავება კი არ უნდოდა. მთავარმა მსჯმა ეს ვერ დაინახა, ლაინსმენს მოელაპარაკა, რომელიც აშკარად შეცდა. ახლა, როდესაც ფიფა ფეხბურთელებს პატიოსანი თამაშისკენ მოუწოდებს, სწორედ მსჯები არ მისდევენ ფეირ-პლეის.

მარადონა — ფეხბურთის უნდა გრძნობდე



არგენტინის ერთ-ერთი ტელე-კომპანიის მიმომხილველად საფრანგეთში იმყოფება მარადონა. მისი რეპორტაჟები სამშობლოში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამავე დროს სახელგანთქმული ფეხბურთელი არც ჟურნალისტებს გაურბის:

● ***დიეგო, რას იტყვით მსოფლიო პირველობაზე შექმნილი ატმოსფეროს შესახებ?***

— გათამაშების ორგანიზაცია უმაღლესი დონისაა. ერთადერთი პრობლემა ბილეთია. ეს საკითხი შემდეგში როგორმე უნდა გადაწყდეს. თვით მატჩებზე ვიტყვი, რომ ეს არც მსოფლიოს ყველაზე უკეთესი ჩემპიონატია და არც ყველაზე უარესი.

● ***ყველაზე უფრო რომელი ნაკრები და რომელი მოთამაშე მოგეწონათ?***

— ნაკრებთაგან, მაინცდამაინც, არც ერთი. ფეხბურთელთაგან, რა თქმა უნდა, ინგლისელი მაიკლ ოუენი, რომელმაც ესოდენ ახალგაზრდა ასაკში ბრწყინვალე ნიჭი გამოავლინა, ძალიან მომეწონა დენის ბერგკამპი და ალ რივალდო. ეს, უბრალოდ, აღტაცების ღირსი სამეულია.

● ***რას იტყვით არგენტინის ნაკრების გამოსვლაზე?***

— აქ მის თამაშში ვერც ჩვენი ტრადიცია დავინახე, ვერც ჩვენთვის დამახასიათებელი სტილი. ჩემი თანამემამულეები შეეცადნენ ფიზიკურად ძლიერ ევროპულ ნაკრებებს დამსგავსებოდნენ, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს, ტექნიკური თვალსაზრისით კი დაზარალდნენ. ჰოლანდიელებთან შეხვედრაში ვცდილობდით დავმსგავსებოდით გერმანელებს, ჰოლანდიელები კი ჩვენ გვემსგავსებოდნენ! საერთოდ კი, ჰოლანდიელებმა ამ მატჩში ჭკუა გვასწავლეს.

● ***შეუძლიათ თუ არა არგენტინელებს ამ ტურნირით კმაყოფილნი იყვნენ?***

— ფიზიკური მომზადების თვალსაზრისთ ყველაფერი რიგზე იყო, ტექნიკური კი არა. ფეხბურთს უნდა გრძნობდე, ჩვენი მოთამაშეები კი, სამწუხაროდ, მას ვერ გრძნობენ.

● ***რას იტყვით საფრანგეთის ნაკრების შესახებ?***

— მეჩვენება, რომ ეს შეჯიბრება სპეციალურად მისთვის არის მოწყობილი. მხოლოდ ბრაზილიელებთან თუ გაუჩნდებათ პრობლემები ფრანგებს.

● ***თუ შეიძლება გამოყავით ვინმე ფრანგი ფეხბურთელებიდან.***

— ზინედინ ზიდანი და, რა თქმა უნდა, არ უნდა დავივიწყოთ ორი ახალგაზრდა ნიჭიერი ჭაბუკი — ტიერი ანრი და დავიდ ტრეზეგე. მათ გვიჩვენეს, რომ 11-მეტრიანის დარტყმის დროს შეუძლიათ ცივი გონებაც შეინარჩუნონ და მტკიცე ხასიათიც.

● ***ხომ არ ფიქრობთ დაუბრუნდეთ მსოფლიო დონის ფეხბურთს?***

— დიახ, მინდა მწვრთნელი გავხდე. ამ მხრივ ჩემთვის სასიამოვნო იქნებოდა ინგლისში მუშაობა.

● ***არგენტინის ნაკრებში მუშაობაზე რაღას იტყოდით?***

— ჯერჯერობით დანიელ პასარელა ფიქრობ, დარჩეს თუ არა ამ პოსტზე, საერთოდ კი, ვოცნებობ სათავეში ჩავუდგე ჩვენს ნაკრებს. თუკი პასარელა მთავარი მწვრთნელის პოსტს დატოვებს და ტექნიკური დირექტორი გახდება, ვფიქრობ, ორნი შეეძლებით კარგად ვიმუშაოთ და არაერთ წარმატებსაც მივაღწიოთ.

ბერლუსკონის პატიმრობა მიუსაჯეს

მილანის სასამართლომ 2 წლითა და 9 თვით პატიმრობა მიუსაჯა მულტმილიონერს, ტელემაგნატს, იტალიის ყოფილ პრემიერ-მინისტრსა და პარტია „ფორცა იტალიას“ ლიდერ სილვიო ბერლუსკონის. მას დაბრალდა საგადასახადო უწყების მოხელეების მოქრთამვა და დიდი რაოდენობის გადასახადების გადაუხდელობა. ეს სარჩელი კარგა ხანია აღიძრა, საქმე თითქმის სამი წელიწადი იხილებოდა და ბოლოს ყველა ბრალდება დამტკიცდა.

სილვიო ბერლუსკონი ფეხბურთის სამყაროში კარგად ცნობილი პიროვნებაა. იგი ხომ „მილანის“ პრეზიდენტი და მეპატრონეა.

ბერლუსკონი იტალიის პარლამენტის წევრია და, ამრიგად, ხელშეუხებლობის უფლებით სარგებლობს. სანამ დეპუტატს დააპატიმრებენ, ჯერ საჭიროა პარლამენტის სანქცია, ისე რომ, მაგნატი ჯერჯერობით იმედს არ კარგავს.

ჯანმრთელად იყავით, სერ რამსეი!

78 წლის ლეგენდარულმა მწვრთნელმა, სერ ალფ რამსეიმ, რომლის ხელმძღვანელობითაც 1966 წელს ინგლისის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ინსულტი გადაიტანა. იგი ქ. იფსვიჩის საავადმყოფოში მოათავსეს, ამასთან, რამსეის ოჯახის წევრების სიტყვით, „შეტევა საკმაოდ ძლიერი იყო“.

აი, რა განაცხადა ინგლისის საფეხბურთო ლიგის წარმომადგენელმა: „ახლა სერ რამსეის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება“. მას შესაძლოა მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნითი მატჩების ტელეგადაცემების ნახვის ნებაც კი დართონ.

დასაევი და მისი პარტნიორები

80-იანი წლების განთქმული მეკარე რინატ დასაევი ათი წლის შემდეგ ესპანეთიდან მოსკოვში დაბრუნდა. იგი ახლა მოსკოვის „სპარტაკის“ ერთ-ერთი მწვრთნელია და მეკარეებთან მუშაობა ევალება.

23 სექტემბერს დასაევი ოფიციალურად ამთავრებს მოთამაშის კარიერას. ამ დღეს მოსკოვის „ლუჟნიკის“ სტადიონზე ყოფილი საბჭოთა კავშირის 1988 წლის ნაკრები (რომელმაც იმ წელს ევროპის პირველობაზე მეორე ადგილი .მოიპოვა), რუსეთის ახლანდელ ნაკრებს შეხვდება.

დასაევმა ამ გამოსათხოვარ მატჩში მიიწვია იმდროინდელი ფეხბურთის ვარსკვლავები: ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე და რამაზ შენგელია. აი სხვა ვეტერანებიც, რომლებსაც გაეგზავნათ მიწვევა: ანატოლი დემიანენკო, ვაგიზ ხიდიატულინი, ალექსნდრე ზავაროვი, ოლეგ პროტასოვი, ფედორ ჩერენკოვი, ვასილი რაცი, სერგეი ალეინიკოვი, ოლეგ ბლოხინი, ლეონიდ ბურიაკი, ვიქტორ ჩანოვი, იური გავრილოვი, სერგეი ლარიონოვი, ვლადიმირ ბესონოვი, იგორ ბელანოვი, სერგეი როდიონოვი, სერგეი ბალტაჩა, ხორენ ოჰანესიანი, პაველ იაკოვენკო, ალექსეი მიხაილიჩენკო, გენადი ლიტოვჩენკო, ოლეგ კუზნეცოვი და ივან იარემჩუკი.

გუნდის მწვრთნელები იქნებიან ვალერი ლობანოვსკი და ნიკიტა სიმონიანი. მატჩის შემდეგ ეს ნაკრები დასაევის მშობლიურ ქალაქ ასტრახანში გაემგზავრება, სადაც 26 სექტემბერს შეხვდება რუსეთის მეორე დივიზიონის ადგილობრივ „ვოლგარგაზპრომს“.

დღეს „ლომელი“, მომავალში კი „ვერდერი“

დღეს, 18 საათზე, ქუთაისის გივი კილაძის სახელობის სტადიონზე გაიმართება ინტერტოტოს თასის გათამაშების მეორე წრის განმეორებითი მატჩი ადგილობრივი „ტორპედოსა“ და ბელგიის „ლომელს“ შორის. როგორც ვიტყობინებოდით, ქართველმა ფეხბურთელებმა დამაჯერებლად ჩაატარეს პირველი შეხვედრა სტუმრად და მინიმალური ანგარიშით სძლიეს მეტოქეს 1-0. თუ ტორპედოელებმა „ლომელის“ ბარიერი გადალახეს, შემდეგ ეტაპზე ძალიან მძიმე ბრძოლის გადატანა მოუწევთ გერმანელ „ვერდერთან“.

გრძელი გზის გადასაყარზე
(რუსეთის ჩემპიონატის მიმოხილვა)

რუსეთის ჩემპიონატზე მცირე შესვენება გამოცხადდა. გუნდების დიდმა უმრავლესობამ დაამთავრა პირველი წრე. ერთადერთი მონაწილე, რომელსაც მცირეოდენი „ვალი“ დარჩა, მოსკოვის „სპარტაკია“. მან გამოტოვა მატჩი კალინინგრადის „ბალტიკასთან“, რომლის ბედზედაც დიდად არის დამოკიდებული გადავა თუ არა ჩემპიონი პირველ ადგილზე, რომელსაც უკანასკნელ წლებში ძალიან შეეჩვია.

მიუხედავად იმისა, რომ გუნდებმა გრძელი გზის მხოლოდ ნახევარი გაიარეს, მიმომხილველები მაინც წინასწარ ასკვნიან — საერთო აზრით, ფეხბურთელების დიდი უმეტესობის ოსტატობის დონე საკმაოდ დაბალია, თუმცა არის რამდენიმე, შედარებით კარგად მომზადებული კლუბი. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ალექსანდრ ბუბნოვს მიაჩნია, მას შემდეგ, რაც უმაღლეს დივიზიონში მონაწილე კლუბების რაოდენობა 16-მდე შემცირდა, „მკვეთრად გაიზარდა კონკურენცია. პირველი მოიკვეთა ბალასტი, ის გუნდები, რომლებიც უბრძოლველად ურიგებდნენ ქულებს უძლიერესებს, არავითარ გავლენას არ ახდენდნენ მათ კონკურენციაზე. მეორე — ვინც, უმაღლეს დივიზიონში დარჩა, სახიფათო ზონის სიახლოვეს აღმოჩნდა და იძულებული გახდა მთელი ძალით ებრძოლა“. ბუბნოვი ფიქრობს, რომ უნდა გამკაცრდეს დივიზიონებში გადასვლის პირობები. გარდა იმ ორი კლუბისა, რომელიც ავტომატურად ტოვებს უმაღლეს დივიზიონს, კიდევ ორისთვის უნდა მოეწყოს გადასასვლელი თამაშები.

დღეისათვის მკვეთრად გამოყოფენ ორს: სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს“ (30 ქულა 15 თამაშიდან), რომელიც მრავალი წლის პაუზის შემდეგ რეალურად აცხადებს პრეტენზიას ჩემპიონობაზე და რუსეთის ხუთგზის ჩემპიონს, მოსკოვის „სპარტაკს“ (28 ქულა 17 თამაშიდან). შარშან, როცა კორეიდან დაბრუნებულმა ანატოლი ბიშოვეცმა „ზენიტი“ ჩაიბარა, მოთამაშეების დიდი ნაწილი სხვა კლუბში გადაბარგდა და გამოცდილმა მწვრთნელმა ახალი კოლექტივის შექმნა დაიწყო. პროგრამა-მაქსიმუმი მაშინ შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ უმაღლეს დივიზიონში დარჩენა. წლეულს, ცხადია, ვითარება შეიცვალა და მაქსიმალისტ ბიშოვეცს დიდი პრეტენზიები გაუჩნდა. იმავე ბუბნოვს, რომელმაც „ზენიტის“ ლიდერობას „ნონსენსი“ უწოდა, შეიძლება მალე საბოდიშოდ გაუზღვეს საქმე. მართალია, მწვრთნელს დღესაც უკიჟინებენ ზედმეტ პრაქტიკიზმს, მაგრამ შარშანდელ „ზენიტთან“ მისი შედარება მაინც არ შეიძლება. გუნდმა გაიტანა 26 გოლი (აქედან მაქსიმიუკმა — 7, გერასიმეცმა — 6), დაცვამ კი, სადაც კარგად არის მოგვარებული ურთიერთდაზღვევა, გაუშვა 11. აქ ისიც ვთქვათ, რომ კვლავინდებურად ძლიერად თამაშობს სომხეთის ნაკრების მეკარე ბერეზოვსკი. 1 ივლისიდან გუნდებს თავიანთი შემადგენლობის შევსების ნება მიეცათ. ახლა ლიდერის შემადგენლობაში გამოჩნდა მოლდავეთის ნაკრების შედეგიანი თავდამსხმელი კლენშჩენკო, რომელსაც ჩვენი გულშემატკივრები კარგად იცნობენ.

„სპარტაკი“ თანდათან აუმჯობესებს თამაშს. როგორც ცნობილი მწვრთნელი ვლადიმირ სალკოვი აღნიშნავს, „ეს გუნდი მინდორზე თავის ძალებში დარწმუნებული გამოდის. სწორედ ეს არის, რომ მას ზოგჯერ თითქოს სრულიად უიმედო მატჩების ხსნის საშუალებას აძლევს“. ამასთან, გუნდს არა ჰყავს მაღალი კლასის თავდამსხმელი, ახალ ვითარებას ძნელად ეგუება „ალანიიდან“ გადმოსული კანაშჩვი. ამ დღეებში „სპარტაკს“ გამოეთხოვა შარშანდელი სეზონის №1 ფეხბურთელი ალენიჩევი, რომელიც „რომაში“ გადავიდა. ვთქვათ ისიც, რომ გუნდიდან წავიდა ორი მწვრთნელი — იარცევი და გლადილინი, რომლებმაც მოსკოვის „დინამოში“ დაიწყეს მუშაობა.

პირველი წრის ბოლო მატჩები სუსტად ჩაატარეს ვოლგოგრადის „როტორმა“, რომელიც ახლა 15 თამაშიდან 23 ქულით მეხუთე ადგილამდე დაქვეითდა და ვლადიკავკაზის „ალანიამ“ (15 თამაშიდან 21 ქულით მერვე ადგილზეა). „როტორი“, მიუხედავად იმისა, რომ დაკარგა ისრაელში გადასული ნიდერგაუსი, კვლავ ძლიერად თამაშობს თავდასხმაში, გაიტანა ყველაზე მეტი — 27 გოლი (ვერეტენიკოვმა — 11, ესიპოვმა — 7), მაგრამ დაცვაში დიდი ხარვეზები აქვს. რაც შეეხება „ალანიას“, მისი შემადგენლობა შარშანდელთან შედარებით შესამჩნევად შეიცვალა. ეს გუნდი მეტად არათანაბრად თამაშობს, მოგებას, როგორც წესი, წაგება მოჰყვება ხოლმე. ახლა მის შემადგენლობაში ყველაზე მეტი — 5 გოლი დავით ჩალაძემ გაიტანა. ამდენივე გოლის (აქედან სამი პენალტით) ავტორია იანოვსკი.

თუ მოსკოვის „ლოკომოტივი“ (15 თამაშიდან 23 ქულა) დაახლოებით შარშანდელ დონეზე თამაშობს, სამაგიეროდ, მძიმე ჩავარდნა აქვს ცსკას (15 თამაშიდან 14 ქულა) და განსაკუთრებით მოსკოვის „დინამოს“ (15 თამაშიდან 12 ქულა, უკანასკნელისწინა, მეთხუთმეტე ადგილი!). ცსკას მთავარ ნაკლად ითვლება მცველების აშკარად სუსტი თამაში. „ცსკას არა ჰყავს დღეისათვის მაღალი კლასის ფეხბურთელები, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთი ავტორიტეტით, გამოცდილებით, თამაშის გაგებით დაცვის ხაზის შედეულობა“ (სალკოვი), რაც შეეხება „დინამოს“ მძიმე მარცხს, ამას ხსნიან მოსამზადებელ პერიოდში დაშვებული შეცდომებით, როცა გუნდს გამოაკლდა ავადმყოფი მთავარი მწვრთნელი ადამას გოლოდეცი. საინტერესოა, რომ 11 ტურის შემდეგ „დინამოს“ საერთოდ არა ჰქონდა მოგება (8 ფრე და 3 წაგება!) ხსნა მონახეს ნიჭიერი იარცევის სახით, რომელიც აქამდე, მხოლოდ მოსკოვის „სპარტაკთან“ იყო დაკავშირებული, მაგრამ უარი არა თქვა დამოუკიდებელ სამუშაოზე. მართალია, ახლა იარცევი ჩივის, აცხადებს, რომ ვერ ახერხებს მდგომარეობის გამოსწორებას. „დინამო“ კვლავ მაჩანჩალაა.

ის, რაც იარცევს „დინამოში“ ჯერჯერობით არ გამოუვიდა, დავით ყიფიანმა თითქოსდა საბოლოოდ დაქვეითებულ იაროსლავლის „შინიკში“ ბრწყინვალედ განახორციელა. „შინიკში“ ქართველი სპეციალისტის გადასვლის მომენტისათვის გუნდი მეთოთხმეტე ადგილზე იყო, შემდეგ კი რამდენიმე მატჩი მოიგო და ახლა მეცხრეა. რუსულმა პრესამ ყიფიანის მუშაობას „მეტისმეტად წარმატებული“ უწოდა.

გივი თორელი

უცხოეთის ჰრესაში

... და, კვლავ ყიფიანი

ფერადი ილუსტრირებული ყოველთვიური სპორტული ჟურნალი „სპორტ-ექსპრესი“ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ შემდეგ მეორე გამოცემაა, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს ცნობილი ქართველი მწვრთნელის დავით ყიფიანის იაროსლავლის „შინიკში“ გადასვლას და ივლისის ნომერში აქვეყნებს მასთან ვრცელ ინტერვიუს – შთამბეჭდავი სათაურით – „დავით ყიფიანი“, საკმაოდ მრავალმეტყველია ქვესათაური – „1998 წლის სეზონის სენსაცია: იაროსლავლის „შინიკის“ მთავარი მწვრთნელი გახდა ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი“.

გთავაზობთ ამ ინტერვიუს, ოდნავი შემოკლებით.

გამოჩენილი გუნდი გამოჩენილი მოთამაშეებისაგან შედგება. მაგრამ მათ შორის ყოველთვის არის თითოოროლა, რომელთა სახელი სიმბოლოდ შემორჩება ისტორიას. იმიტომ კი არა, რომ დანარჩენები უარესები იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ სწორედ ეს სახელები განასახიერებდა ყველაზე უფრო გუნდის სახეს, მის ხასიათს. 60-იანი წლების „ტორპედო“ – ეს სტრელცოვია, 70-იანის კიევის „დინამო“ – ბლოხინი, 80-იანის „სპარტაკი“ – ჩერენკოვი და გავრილოვი. ბრწყინვალე თბილისის „დინამო“, რომელმაც 81-ში მოიპოვა ევროპის ქვეყნების თასების თასი – ეს დავით ყიფიანია. ამას თვითონ არ ეთანხმება და სხვებს იხსენებს – ჩივაძეს, შენგელიას, დარასელიას, გუცაევს, გაბელიას. მაგრამ, ვისაც ახსოვს თბილისის „დინამო“, მისი ტექნიკური, გამჭრიახი, შთაგონებული თამაში, – ეს, პირველ ყოვლისა, ყიფიანის ფეხბურთია.

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის ჩემპიონატში მოვიდა ქართველ ფეხბურთელთა პლეადა, რომელმაც თავისი თამაშით გაამდიდრა ჩვენი ფეხბურთი: ჯანაშია და ჯამარაული, შელია და ყაველაშვილი, კობიაშვილი და ნემსაძე... ახლა რუსეთის უმაღლეს დივიზიონში გაჩნდა ქართველი მწვრთნელი, მარტო მისმა სახელმა „შინიკისადმი“ ინტერესის ახალი აფეთქება გამოიწვია.

● *დიდხანს დარჩებით რუსეთში, დავით დავითის ძევ?*

– ეს დამოკიდებულია იმაზე, როგორ წავა საქმე. კონტრაქტი წლის ბოლომდე მაქვს, თუ კარგად ვიმუშავე, ვფიქრობ, დავრჩები.

● *რატომ მაინცდამაინც „შინიკი“? სხვა წინადადება გქონდათ?*

– იყო. პირველ ყოვლისა, მიმაჩნია, რომ კაცმა, რომელიც ჯეროვნად არ ცნობს რუსეთის ფეხბურთს, არ უნდა დაიწყოს ყველაზე სახელოვანი გუნდით. მეორეც, „შინიკი“ შარშან ცუდად არ გამოსულა, დაიკავა მეოთხე ადგილი და ინტერტოტოს თასის გათამაშებაში მოხვდა. ვნახე მისი მატჩი მოსკოვის „დინამოსთან“ და დავრწმუნდი გუნდის პოტენციალში. თუმცა მას აქვს პრობლემები, რომელსაც ჯეროვანი ყურადღება უნდა დავუთმო. მიმიზიდა იმანაც, იაროსლავლში როგორ უყვართ ფეხბურთი, როგორ ეპყრობიან გუნდს, პირველ ყოვლისა, ოლქის გუბერნატორი ანატოლი ლისიცინი. თვით კლუბშიაც უყვართ თავიანთი სამქმე, იციან და ესმით ფეხბურთი. ამისთანებთან ადვილია მუშაობა.

● *ფსიქოლოგიური თვალსაზრისით თქვენთვის უჩვეულო ამოცანების გადაჭრა მოგიხდებათ: „დინამო“ ფეხბურთელების მოტივაციის პრობლემა იყო, რომლებსაც სუსტ მეტოქეებთან ჰქონდათ საქმე, აქ გუნდი ორმოდან უნდა ამოათრიოთ...*

– ორმოდან გუნდის ამოყვანა უკვე მომიხდა – იმავ თბილისის „დინამოსი“, როცა 1984 წელს პირველად ჩავიბარე იგი.

● *ახლა „დინამოდან“ წახვედით...*

– უკაცრავად, ამ გუნდიდან არ წასულვარ და არასოდეს წავალ. იგი ჩემი სულის ნაწილია.

● *მაშინ, შესწორება შევიტანოთ: ფორმალურად წამოხვედით. რასთანაა დაკავშირებული თქვენი გადაწყვეტილება?*

– გუნდის ხელმძღვანელობასთან შესანიშნავი დამოკიდებულება მაქვს – ყველა ჩემი მეგობარია, და ყველაფრისათვის მადლობა მინდა ვუთხრა, რაც ჩემთვის გაუკეთებიათ. მაგრამ ეს შემოქმედებითი მუშაობაა და ერთ მომენტში მივხვდი, რომ საქართველოს ჩემპიონატისათვის გადავიზარდე. იმიტომ, რომ „დინამოს“ რეალური კონკურენტები არ ჰყავდა?

კი, რაც მე „დინამოში“ ვმუშაობდი, საქართველოში მოვიგეთ ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა – ჩემპიონატი, თასი, სუპერთასი... მაგრამ ამასთან გაზეთებში გვაკრიტიკებდნენ: აქაოდა, ევროპულ დონეზე არაფრის ჩვენება არ შეგვიძლია. საწყენია ეს ყველაფერი. რა თქმა უნდა, როცა თასების თასი მოვიპოვეთ, თამასა ისეთ დონეზე ავწიეთ, რომელთან შედარებითაც სხვა შედეგი წარუმატებლად აღიქმებოდა. მაგრამ განა შეიძლება მასთან ახლოს მისვლაც კი ახლანდელი შემადგენლობით, სადაც საშუალო ასაკი – 20 წელია, სადაც 18 და 17-წლიანებიც კი თამაშობენ? და ამასთან, საშინელი დენადობაა: ნიჭიერი ფეხბურთელი ითამაშებს ნახევარ წელიწადს და, მიდის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 1981 წლის გუნდი ათი წელიწადი მიდიოდა წარმატებისაკენ, თამაშობდა, იძენდა საერთაშორისო ბრძოლის გამოცდილებას. სხვათა შორის, საკავშირო პირველობის გამოსვლებშიც, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა იტალიის, გერმანიისა და ინგლისის პირველობებს. ჩემი მოსვლა რუსეთის ფეხბურთში ეს ერთგვარი გამოწვევაცაა იმ სკეპტიკოსებისა, რომლებიც მსაყვედურობენ, რომ კლუბურ დონეზე განსაკუთრებულად არაფრისთვის მომიღწეია.

● *თუ გავითვალისწინებთ, რომ, პირველ ყოვლისა, „დინამოდან“ რამდენი გამოდის წარმატებით რუსეთისა და საზღვარგარეთის კლუბებში, შეიძლება დავასკვნათ, სიძნელეების მიუხედავად ქართული ფეხბურთის პოტენციალი კვლავინდებურად მადალია. ასე არაა?*

– კი, ვფიქრობ, კარგი ნაკრები გვყავს შემსრულებლების მხრივ, რაც ამასწინანდელ რუსეთთან შეხვედრაშიც დავრწმუნდით. ეს იყო თანატოლთა თამაში. გვყავს ევროპული კლასის ფეხბურთელები – შოთა არველაძე, ქინქლაძე, რომლებიც ერთად თამაშობენ „აიაქსში“, ქეცბაია „ნიუკასლში“ და ისინი, რომლებიც ახლა რუსეთის კლუბებში წამყვან პოზიციებზე არიან.

● *ხომ არ გეგმავთ „შინიკის“ გაძლიერებას თქვენს მიერ აღზრდილი ქართველებით?*

– შეიძლება. არავითარ შემთხვევაში არ მინდა დავუკარგო დამსახურება მათ, ვინც ჩემამდე „შინიკში“ მუშაობდა, – მათ დიდი საქმე გააკეთეს, მაგრამ ახლა გუნდს, აშკარად უჭირს და გაძლიერებას საჭიროებს.

● *რა მოუვიდა „შინიკს“? შარშან მან ფურორი მოახდინა, მეოთხე ადგილი დაიკავა, წლეულს კი, ასეთი ჩავარდნა.*

– ალბათ მოსამზადებულ პერიოდში შეცდომები დაუშვეს. გარდა ამისა, წავიდნენ ფეხბურთელები, რომლებიც, ჩემი აზრით, გამოადგებოდნენ გუნდს. იყო, რა თქმა უნდა, უიღბლობაც – „შინიკი“ აგებდა მოსაგებ მატჩებს.

● *რა სირთულეებს განიცდით ახლა?*

– ქულათა დეფიციტს. გვქონოდა კარგი მარაგი, მშვიდად ვიმუშავებდით. ახლა – ყველა მატჩი გადამწყვეტია. მაინც მთავარი, რასაც მწვრთნელისგან ელიან – შედეგია. და მართალიცაა. ვის ჭირდება ლამაზი თამაში თუ მას ქულები არ მოაქვს? ის კი არ მინდა იაროსლაველებმა იფიქრონ – აი, მოვიდა ყიფიანი, ახლა გუნდს ფრთები გამოესხმება და გაფრინდება. ფეხბურთში ყველაფერი გაცილებით რთულადაა.

● *მატერიალური თვალსაზრისით „შინიკი“ კარგი გუნდია?*

– კიდევ მინდა ხაზი გავუსვა: აქ ყველაფერი კეთდება კლუბისათვის. როგორც გავიგე, იაროსლავლელებს შორს მიმავალი გეგმები აქვთ. თვით კლუბშიც ყველა ცდილობს, მუშაობენ, ერთმანეთს უგებენ, მაგრამ ახლა ყველას უჭირს.

● *რუსეთის მატერიალურმა სიძნელეებმა, არა მგონია შეაშინოს კაცი, რომელსაც აქვს განცდილი ქართული ფეხბურთის სიდუხჭირე. ყიფიანმა ორი წლის წინათ მოსკოვში თანამეგობრობის თასზე ჩამოიყვანა თბილისის „დინამო“. მაშინ ჰყვებოდა, რომ თამაშისა და ვარჯიშის შემდეგ ფეხბურთელები იძულებულნი არიან ცივი შხაპი მიიღონ, რის გამოც ციოდებოდნენ. მას მერე შეცვალა რამე? ყიფიანი მხრებს იჩეჩავს.*

– რა თქმა უნდა, დღეს ბევრად უკეთესი მდგომარეობაა. მაგრამ არა იმდენად, რამდენადაც სასურველია რომ იყოს. საქართველოში „დინამოს“ საუკეთესო პირობები აქვს სხვებთან შედარებით. მაგრამ ეს ის პირობები არაა, როგორშიც პროფესიული კლუბი უნდა მუშაობდეს!

● *მაშრითარსებობს დღევანდელი ქართული ფეხბურთი?*

– ყოველ კლუბს მატერიალური შემოსავლის რაღაც მცირე წყაროები აქვს. „დინამოს“ ადრინდელი უწყებები შინსახკომი და სუკი აღარავითარ დახმარებას არ უწევს, რადგან აღარაფერი აკავშირებს მათთან. თამაშზე დასწრება ნულოვანია, ფეხბურთზე საქართველოში აღარ დადიან. რეკლამაც ნულზეა, სპონსორები არ ჩანან, ისევე როგორც არ ჩანს შემოსავალი ტელევიზიიდან ან ლატარიიდან. რა სახსრებით არსებობს კლუბი? – მოთამაშეების გაყიდვით. მხოლოდ ეს იძლევა გუნდის შენახვის საშუალებას, რათა შეინარჩუნოს შემადგენლობა და გამოზარდოს ახალგაზრდობა.

● *ნაკრები?*

– უეფას დახმარებით და რაც გადარჩება ტელეტრანსლაციებს. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ახლა, რამდენადაც ვიცი, საქართველოში მუშავდება ფეხბურთის განვითარების კომპლექსური პროგრამა. ეს, რა თქმა უნდა, სასიხარულოა. მაგრამ მთავარია პროგრამა საქმით შესრულდეს. ფეხბურთი უდიდესი ინდუსტრიაა. არის სახეობები, რომლებიც 100 ათასი დოლარით მთელ წელიწადს ცხოვრობენ. ფეხბურთში კი ეს თანხა მარტო ერთ შეკრებასა და საზღვარგარეთ ჩარტერული რეისით წასვლა-წამოსვლას თუ გასწვდება. პოლიტიკოსი არ ვარ, მაგრამ ვიტყვი, რომ რუსეთმა, ბელორუსიამ და უკრაინამ ბევრი დაკარგა, როცა შავი ზღვის სანაპიროს შესანიშნავ ბაზებზე ჩასვლის საშუალება აღარ აქვთ. იქ ერთად ვვარჯიშობდით, ვემზადებოდით, ვატარებდით საკონტროლო მატჩებს. ახლა იგივე შეკრება კვიპროსში, ესპანეთსა და ისრაელში უნდა გაიაროს.

● *საქართველოს ნაკრები „საფრანგეთი-98“-ზე ვერ მოხვდა: რა პერსპექტივები აქვს „ევროპა-2000“-ზე მოსახვედრად?*

– თუ ქართულ ფეხბურთს კვლავ ისინი უხელმძღვანელებენ, ვინც დღეს ხელმძღვანელობს – ზოგიერთის გამოკლებით, არაფერი გამოგვივა. რაც შეეხება პერსპექტივებს, ახლა ისეთ ძლიერ ჯგუფში არ აღმოვჩენილვართ, როგორშიც „ევრო-96“-სა და „საფრანგეთი-98“-ში ვიყავით. იქ იყვნენ გერმანელები და ბულგარელები, შემდეგ ინგლისელები და იტალიელები. ახლანდელ ჯგუფსაც მთლად ადვილს ვერ უწოდებ, ყველა ანგარიშგასაწევია. ალბანელებიც კი, რომლებმაც თუ გახსოვთ, მსოფლიო ჩემპიონატის შერჩევითი ტურნირის ორ მატჩში ხუთი გოლი გაუტანეს გერმანელებს. ბერძნებსა და ნორვეგიელებზე აღარაფერს ვამბობ. მაგრამ ჩვენს ნაკრებს გაცილებით მეტი შანსი აქვს.

● *დაბრუნდეთ რუსეთში. როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე იაროსლავლმა?*

– ამ ქალაქში ადრე ვიყავი, მაგრამ დიდი ხნის წინათ, როცა თბილისის „ლოკომოტივში“ ვთამაშობდი. პირველი, რამაც გამახარა, ის იყო, რომ მართლმადიდებელთა ქალაქში მოვხვდი. აქ ბევრი ეკლესია და მონასტერია – მოვლილი და მოქმედი, ირგვლივ სისუფთავეა, ხალხი – კეთილმოსურნე. მართალია, ქალაქში ნაკლებად ვარ, უმთავრესად ბაზაზე მნახავს კაცი. დროს რომ გამოვნახავ, სიამოვნებით დავივლი ქუჩებს, ეკლესიებშიც შევივლი.

● *მორწმუნე ბრძანდებით?*

– დიახ.

● *პირველ მატჩზე იაროსლავლში ცნობილი ოკეანტი პაველ ბურე გვწვიათ. ამბობენ მეგობრობთ მასთან. როგორ მოხდა ერთმანეთისაგან განსხვავებული პიროვნების, ასაკისა და პროფესიის წარმომადგენელთა დაახლოება?*

– აი, სხვათა შორის, ფოტოები, როცა პაშა სტუმრად იყო ჩემთან თბილისში. აქ პაველ მეგობრებთანაა, აქ ჩემს ვაჟთან, გიორგისთან, აქ მცხეთის საკათედრო ტაძარში ვართ. როგორც ხედავთ, მართლაც ვმეგობრობთ. რაც შეეხება კითხვას – რატომ? – ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო. ამ ახალგაზრდაში მხიბლავს, პირველ ყოვლისა, არაჩვეულებრივი, გამოჩენილი სპორტსმენისათვის უიშვიათესი თავმდაბლობა, რასაც ახლანდელ ახალგაზრდებში ძნელად შეხვდები.

● *რას იქმნიან თქვენი ბიჭები? ორნი თბილისის „დინამოში“ თამაშობდნენ...*

– აღარ თამაშობენ – ერთი 27-საა, მეორე – 23-ის, მესამე, ათი წლის გიორგი – ბავშვთა გუნდშია. ჩემი ამპლუა აქვს. რა გამოუვა, ამაზე ადრეა ჯერ ლაპარაკი.

● *გიორგი და მისი თანატოლები ქართული ფეხბურთის მომავალია. როგორი განწყობილება გაქვთ მათ მიმართ – პესიმისტური თუ ოპტიმისტური?*

– რას ამბობთ, რა პესიმიზმი – ღმერთმა ნუ ქნას! კვლავ ვიმეორებ: ფეხბურთი – ქვეყნისა და მისი სიძნელეების გაგრძელებაა. მისი სიძნელეები ჩვენი სიძნელეებია. მაგრამ ფეხბურთი საქართველოში არასოდეს მოკვდება, ამაში დარწმუნებული ვარ. მართო საბჭოთა კავშირს კი არა, მსოფლიოს რამდენი ვარსკვლავი მისცა საქართველომ – პაიჭაძე, მეტრეველი, მესხი, ხურცილავა, იამანიძე, კალოევი, უფრო გვიან – ჩივაძე, შენგელია, გუცაევი, გაბელია. ახლა კი ჩნდებიან ჩვენთან ძმები არველაძეები, ქინქლაძე, ქეცბაია – ესე იგი, არავითარი პესიმიზმი არ შეიძლება იყოს.

● *ახლა რუსეთში ხართ, შეიძლება, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნდეთ საქართველოში – „დინამოში“, ან ნაკრებში?*

– ჯერ არ მინდა ამაზე ლაპარაკი. რა თქმა უნდა, სადაც უნდა ვიმუშაო, პირველ ყოვლისა, ქართველი ვარ, მიყვარს სამშობლო და როდესმე დაბრუნდები. როგორ ხარისხში, ჯერ ამის წარმოდგენა მიჭირს. კარგად მოგეხსენებათ – ეს მარტო ქართველებს არ ახასიათებთ – ყველას თავის მიწაზე უნდა სიკვდილი, თუმცა ჯერ სიკვდილს არ ვაპირებ.

ბორის ბოგდანოვი

სფფ-ს ყრილობის წინ

პრობლემები უფრო თვალსაჩინო ხდება

როცა სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი ნოდარ ანდრიაძე საფეხბურთო პრესკლუბში შეგვხვდა ჟურნალისტებს, აღგვითქვა, რომ საზოგადოებასთან და პრესასთან ჩატეხილი ხიდის გამთლიანებას შეუდგებოდა და რომ სფფ-ში სამომავლოდ რევოლუცია იყო მოსალოდნელი. რევოლუციური, ბობოქარი სული კარგი რამაა, მაგრამ მაინც ეჭვის თვალით ვუყურებდით დაპირებულ გარდაქმნას. ახლა კი, როცა სფფ-ს პრეზიდენტობის სამი კანდიდატი უკვე წარსულ საზოგადოების წინაშე, კარგი იყო ალექსანდრე ჩივაძესაც გადაედგა ეს ნაბიჯი – ყრილობამდე ხომ სულ რაღაც 13 დღე დარჩა. გუშინწინ, სფფ-დან ტელეფონით საგანგებოდ გვაცნობეს, ბატონი საშა ხვალ ჟურნალისტებს შეგხვდებათო. მაგრამ ბოლოს, ეტყობა, რაღაც შეიცვალა – ვიცე-პრეზიდენტი ნოდარ ანდრიაძე, გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე და კომერციული სამსახურის უფროსი რევაზ შავდია გამოჩნდნენ ეროვნულ სტადიონზე. სფფ-ს ამ შემადგენლობას ქართველ მშენებელთა ის ჯგუფიც მოჰყვა, რომლებიც სტადიონზე სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ატარებენ და „უაღრესად საინტერესო“ შეხვედრაც დაიწყო. გვაცნობეს, რომ თავდაპირველი თანხა 200000 აშშ დოლარი, რომელიც უეფამ სფფ-ს გამოუყო, არარენტაბელურად მოხმარდა სტადიონზე პერსონალური სკამების დამონტაჟებას და უეფას კომისიამაც ამის გამო უკმაყოფილება გამოთქვა. ახლანდელი სიტუაცია კი დამაკმაყოფილებელია, მშენებლები გვპირდებიან, რომ სექტემბრისთვის მზად იქნება 20 ათასი პერსონალური სკამი. ისინი ამას სფფ-ს დაკვეთით აკეთებენ, ხოლო გადახურვის სამუშაოების დამკვეთი ქალაქის მერიაა, რომელიც ეროვნული სტადიონის აქციების 63,5 %-ს ფლობს. სწორედ ამიტომაც სულ რაღაც 4 %-ის მფლობელმა სფფ-მ ახლა უკვე ალაკერდი მერიას გადაულოცა სტადიონის შემდგომი რეკონსტრუქციისათვის. განათების პრობლემას ფეხბურთის ფედერაცია მიხედავს – 1200 ლუქსი 580000 დოლარი ჯდება. დავით კვინიკაძე გვარწმუნებს, რომ სფფ-ს ფინანსების მხრივ კატასტროფული მდგომარეობა სულაც არა აქვს: ლაგოდეხში მიმდინარეობს სპორტული ბაზის მშენებლობა, რომლისთვისაც 80000 დოლარი გამოიყო, „ბზიურის“ ბავშვთა კომპლექსისთვის 20000, ეროვნული ნაკრები „ევრო-2000“-ის მატჩზე ჩარტერული რეისით გადაფრინდება რიგაში, იქიდან კი საბერძნეთში, რაც 200 000 დოლარი ეღირება (მატჩები 10 და 14 ოქტომბერს გაიმართება).

ჩვენი უმთავრესი სტადიონის რეკონსტრუქცია, რა თქმა უნდა, ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია სფფ-ს მორიგი ყრილობა, რომელიც თავისი საპრეზიდენტო არჩევნებით კარს მოგვადგა. წინასაარჩევნო დაძაბულობამაც პიკს მიაღწია, არც „დენთის სუნის დატრიალებაა“ გამორიცხული. ირკვევა, რომ თურმე ყრილობის დელეგატთა რაოდენობის დასადგენად იუსტიციის სამინისტრომ უნდა აუნთოს მწვანე შუქი სფფ-ს – ზოგიერთი სუბიექტის სამართლებრივი საკითხი ჯერაც გაურკვეველია, მათ შორის სფფ-ს რაიონული ფედერაციებისაც.

ასეა თუ ისე, ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციის გარდა, ქართული ფეხბურთის დანარჩენ პრობლემებზე საუბარი სფფ-ს ხელმძღვანელობამ ამჯერად არ მოისურვა, ამას სამომავლოდ შეგვპირდნენ...

დათო თავართქილაძე

გაიმართება ივლისის ბოლოამდე

თვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრებები

9-12. ხინკრონული ცურვა. ევროპის პირველობა. საფრანგეთი.

9-11. აკადემიური ნიჩბოსნობა. ლიუცერნის რეგატა. შვეიცარია.

10-18. მსოფლიოს პირველი ახალგაზრდული თამაშები. მოსკოვი.

10-16. მესტენდურობა. მსოფლიო თასის ეტაპი. ლონატო. იტალია.

11. მძლეოსნობა. „იიაფ-ი „გრან-პრი" ვილნევი და ასკი საფრანგეთი.

11-2 აგვისტო. ველოსპორტი. „ტურ დე ფრანსი."

12. ავტოსპორტი. „ბრიტანეთის გრან პრი". სილვერსტოუნი.

14. მძლეოსნობა. „ოქროს ლიგა" იიაფი. რომი.

15. მძლეოსნობა. „გრან პრი" იიაფი. ნიცა, საფრანგეთი.

15. მძლეოსნობა. „ოქროს ლიგა" იიაფი. რომი.

16-30. ტყვიის ხროლა და მესტენდურობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბარსელონა, ესპანეთი.

17-19. ჩოგბურთი. დევისის თასი. მეოთხედფინალები.

17-19. ფრენბურთი. მსოფლიო ლიგის ფინალი (ვაეები). იტალია.

19 ივლისი - 2 აგვისტო. კეთილი ნების თამაშები. ნიუ-იორკი.

22. ფეხბურთი. უეფა-ს თასი, წინასწარი წრის პირველი შეხვედრები.

24-26. ველოსპორტი. ევროპის ჩემპიონატი (ტრეკი). პოლონეთი.

25. მძლეოსნობა. „გრან პრი" იაიფი. დარემი. ჩრდ. კოროლინა, აშშ.

25-28. ავტოსპორტი. „ავსტრიის „გრან პრი" შაილბერგი.

28-2. აგვისტო. მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). ანესი, საფრანგეთი.

29. ფეხბურთი. უეფა-ს თასი, წინასწარი წრის საპასუხო შეხვედრები.

29 ივლისი - 9 აგვისტო. კალათბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (ვაეები). სალონიკი, ათენი.

30 ივლისი - 2 აგვისტო. ცურვა. ევროპის პირველობა. ბელგია.

ივლისში ჩატარდა აგრეთვე: 1-12 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი; 1-5. ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. ლონდონი; 1. მძლეოსნობა. „გრან-პრი" იიაფი. პარიზი; 2-6. ტრიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. ავსტრია.

ჭადრაკი

საჭადრაკო ამოცანა

მ. ეიგე



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ე:f3!, 1. ...ed 2. ლ:f4X.
1. ... მd5 2. კd3X, 1. ...მ – 2. ლ:c6X.

ჭადრაკი

გურნირი დიდი სიურპრიზებით

ფიდემ ეს-ეს არის გამოაქვეყნა თავისი წამყვანი მოჭადრაკეების უახლესი „რეიტინგ-ლისტი", სადაც მეორე ადგილზე მყოფ „ოსკარის" ახლანდელ მფლობელ ვიშვანათან ანანდს გარი კასპაროვამდე ბევრი აღარაფერი უკლია. მან ხომ წელს უკვე გაიმარჯვა ვეიკ-ან-ზეეს, ლინარესისა და მადრიდის დიდ საერთაშორისო ასპარეზობებში. ახლა კი, დორტმუნდის დიდ საერთაშორისო ტურნირში საქმე სულ სხვანაირად წარიმართა. პირველ ადგილს ვინ ჩივის, ანანდი საერთოდ უპრიზოდ დარჩა, ისე, რომ ერთი პარტიაც კი ვერ მოიგო!

9 შესაძლებლიდან 6-6 ქულით პირველი-მესამე ადგილები გაიყვეს ვლადიმირ კრამნიკმა (რუსეთი), რომელმაც შეჯიბრება მისთვის დამახასიათებელი აქტიური პოზიციური სტილით წარიმართა (3 მოგება და 6 ყაიმი), ახალგაზრდა დიდოსტატმა პეტრე სვიდლერმა (რუსეთი), და ინგლისელმა მაიკლ ადამსმა. პირველი პრიზი დამატებითი მონაცემებით კრამნიკს მიენიჭა, მეორე – სვიდლერს, მესამე – ადამსს.

5 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავა 18 წლის უნგრელმა პეტერ ლეკომ. 4,5 ქულით მეხუთე – ვასილი ივანჩუკმა (უკრაინა), 4-4 ქულით დაასრულეს შეჯიბრება ანანდმა, არტურ იუსუპოვმა (გერმანია) და ზოლტან ალმაშმა (უნგრეთი). 3 ქულით მეცხრეა, ალექსანდრ ბელიავსკი (სლოვენია), 2,5 ქულით მეათე (უკანასკნელი!) მსოფლიო ჩემპიონობის ახლანდელი პრეტენდენტი ალექსეი შიროვი (ესპანეთი). ეს უკვე უდიდესი სიურპრიზია. შიროვმა წააგო – 4 (!) პარტია, დანარჩენი 5 კი ყაიმით დაასრულა. ამ ტურნირში ყოფილი რიგელი ერთხელ კიდევ შეხვდა თავის ამასწინანდელ მეტოქეს პრეტენდენტთა მატჩში კრამნიკს. ამჯერად კრამნიკმა, რომელიც შავებით თამაშობდა, საკმაოდ იოლად გაიმარჯვა.

ტელეგიდი

11 ივლისი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი, II არხი, იბერია, TV-7, საქართველოს ხმა. მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. მატჩი III ადგილისათვის (22.50.)

II არხი. ავტოსპორტი (22.05). იბერია. „ბურთი და მოედანი" (12.35; 21.15). *კავკასია.* „ვარსკვლავები" (17.50). *საქართველოს ხმა.* სპორტული პროგრამა (15.00) *PTP.* მსოფლიო ჩემპიონატის დღიური (16.50). მატჩი III ადგილისათვის (22.50). *HTB.* საფეხბურთო კლუბი. *HTB პლუს სპორტ.* ფეხბურთი (9.40; 9.55; 15.15; 18.30; 19.00; 0.30). კალათბურთი (10.00; 22.35). კრივი (15.30; 20.20). საცხენოსნო სპორტი (21.35). *EUROSPORT.* ჩოგბურთი (13.00; 18.00). ფეხბურთი (12.00; 21.50; 22.50; 3.30). *TB ცენტრ.* „გამოჩენილი სპორტსმენები – ვალერი ბრუმელი" (11.10). ფორმულა-1 (15.55). მსოფლიოს ჭაბუკთა თამაშების დღიური (23.25).

12 ივლისი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. I არხი, II არხი, იბერია, TV-7, საქართველოს ხმა. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი (22.50). *II არხი.* პარიზის ცის ქვეშ (20.00). *რუსთავი-2.* სპორტული პროგრამა (20.30). *კავკასია.* „ვარსკვლავები". *საქართველოს ხმა.* სპორტული პროგრამა (15.30). *ევროკა.* ჩემპიონატის დღიური (20.45). *OPT-I.* XX საუკუნე ემშვიდობება ფეხბურთს. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი (22.50). *PTP.* საფრანგეთის საფეხბურთო მოტივები (21.00). *HTB.* საფეხბურთო კლუბი (1.20). მსოფლიოს ჭაბუკთა თამაშების დღიური (9.40; 10.25; 17.55). *HTB პლუს სპორტ.* „საფეხბურთო კლუბი" (9.55; 18.30). ფიფას ჟურნალი (11.35), საკალათბურთო მიმოხილვა (12.40). კრივი (13.15). საჭადრაკო მიმოხილვა (19.30). ავტოსპორტი (20.30). *EUROSPORT.* საფრანგეთი-98 (11.00; 19.30; 1.00; 3.00). ჩოგბურთი (13.00). ავტოსპორტი (15.00; 22.30). ველოსპორტი (17.00, 23.30).

13 ივლისი, ორშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი (15.15). *იბერია.* „ბურთი და მოედანი" (12.40; 21.15). *კავკასია.* „ვარსკვლავები" (17.45). *PTP.* ავტოსპორტი. რუსეთის ჩემპიონატი (17.30). მსოფლიოს ჭაბუკთა თამაშების გახსნის ცერემონია (21.45). ფრენბურთი: ესპანეთი – რუსეთი (0.30). *HTB.* საფეხბურთო კლუბი (15.00; 18.25). *TV-6.* მოსკოვი. კვირის სპორტი (10.55). *TB ცენტრ.* მსოფლიოს ჭაბუკთა თამაშების გახსნის ცერემონია (20.25). სპორტული ლეგენდა – ვლადიმერ სალნიკოვი (22.45). მსოფლიოს ჭაბუკთა თამაშების დღიური (23.15). *THT.* საფეხბურთო კლუბი (19.00). *HTB პლუს სპორტ.* მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილები (7.30; 15.10). საფეხბურთო კლუბი (8.10). დიდი რინგი (8.40). კალათბურთი: ნბა-ს ჩემპიონატი (9.55; 12.30). საჭადრაკო მიმოხილვა (13.05). საცხენოსნო სპორტი (13.30; 23.10). ავსტრალიის ღია პირველობა ჩოგბურთში. ქალები. ფინალი (21.15). *EUROSPORT.* მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში (10.30; 11.00; 13.00). ავტოსპორტი (21.00).

14 ივლისი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ექსტრემალური სპორტული თამაშები (12.15). „ასპარეზი" (22.15). *II არხი.* „გოლი" (20.00). *იბერია.* „ბურთი და მოედანი" (12.40). *კავკასია.* „ვარსკვლავები" (17.45). *PTP.* ფრენბურთი. ჰოლანდია – რუსეთი (0.15). *HTB.* ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირის შედეგები (15.00). *TB ცენტრ.* მსოფლიოს ჭაბუკთა თამაშების დღიური (15.30). *HTB პლუს სპორტ.* ფრენბურთის გაკვეთილები (7.05; 14.45). კრივი (8.15). ველოსპორტი (9.10). საჭადრაკო მიმოხილვა (12.45). საცხენოსნო სპორტი (13.15). ჩოგბურთი: ავსტრალიის ღია პირველობა (18.10). გოლფი (21.35). მძლეოსნობა (22.40). *EUROSPORT.* ველოსპორტი (12.00; 16.00; 17.00; 0.00). ფეხურთი (22.00).

რა ხდება ქვეყანაზე

ოლიმპიურ ჩემპიონ ქალს ბახუსმა დარია ხელი

ცნობილმა უკრაინელმა ფიგურულმა მოციგურავემ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ოქსანა ბაიულმა ალკოჰოლიზმისაგან განკურნების კურსის გავლა გადაწყვიტა.

— ეს გოგონა თავისი ნებით შევიდა ანონიმურ ალკოჰოლისტთა საზოგადოებაში, — განაცხადა სპორტსმენთა ინტერესების სააგენტო „უილიამ მორისის" ვიცე-პრეზიდენტმა შელი შულცმა.

კარგა ხანია, რაც ოქსანა მაგარი სასმელებით „თავს იქცევს", მაგრამ სერიოზული პრობლემები მას შარშან დაეწყო, როცა თავისი პიკაპით ხეს შეასკდა. 20 წლის ბაიულის სისხლში ალკოჰოლი აღმოაჩინეს და სასარგებლო საზოგადოებრივი სამუშაოთი და ჯარიმით დასაჯეს.

ამ ინციდენტის შემდეგ ბაიულმა გაყოდა თავისი სახლი სიმბირიში, სადაც ვარჯიშობდა გალინა ზმიევსკის ხელმძღვანელობით, და ბოსტონში გადავიდა. ოქსანა პროფესიონალური კარიერის შეწყვეტას არ აპირებს, თუმცა დიდ ხანს ფიქრობდა ამაზე. იგი დარწმუნებულია, რომ მკურნალობის შემდეგ თავს დააღწევს მავნე ჩვევებს.

აი, მეორე ფიგურისტი, ნაგანოს თეთრი ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, ორგზის მსოფლიო ჩემპიონი მიშელ კვანი კი მომავლისკენ იყურება. რა თქმა უნდა, პროფესიული შოუ ცდილობს თავის ჭერქვეშ მიიტყუოს ნიჭიერი ამერიკელი მოციგურავე, მაგრამ იგი სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიადაში გამოსვლაზე ოცნებობს.

— 2002 წელს მხოლოდ 21-სა ვიქნები, — თქვა მან, — და საქმე მარტოის არ არის, რომ „ოქროს" მოპოვება მწყურია. უბრალოდ, წინაღმდეგობა მიზიდავს. გრძნობა, რომელსაც სრიალობის დროს განვიცდი დაუვიწყარი რამაა!..

ამიტომაც კვანი არც ერთ ტურნირს არ აცდენს და მალე კეთილი ნების თამაშებში გამოვა.

მურმან ბოკუჩავას



ერთ თვეში 65 წლისა გახდებოდა, აქედან მთელი 42 წელიწადი ერთ საქმეს — მოზარდი თაობის სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულ აღზრდას მოახმარა. 23 წლის ახალგაზრდამ, მას შემდეგ, რაც ხარხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტი დაამთავრა შშობლიური აბაშის რაიონის, სოფელ ბირველ მაიხის ხაშუალო სკოლაში დაიწყო მუშაობა ფიზიკაზრდის მასწავლებლად. ერთხელ გაკეთებული არჩევანისთვის აღარასოდეს უღალატია — ხიოცხლის ბოლომდე მოზარდი თაობის აღზრდის სამსახურში დარჩა. 1958 წლიდან აბაშის №2 საშუალო სკოლაში გადაიყვანეს და ბოლო ათწლეულები იქ გაატარა, როგორც დირექტორის მოადგილემ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. მისი პედაგოგიური და ორგანიზატორული მოღვაწეობა არაერთგზის აღნიშნულა, როგორც მისაბაძი და სამაგალითო, დაფასებული ჯილდოებით.

მძიმე და განუკურნებელმა სენმა სულ რამდენმე თვეში შეიწირა ქვეყნისათვის ღირსეულ მოქალაქეთა აღზრდის წადილით კვლავინდებურად გულანთებული კაცის ხიოცხლე. მ. ბოკუჩავას ხიკვდილმა დიდი მწუხარება გამოიწვია მის მრავალრიცხოვან აღზრდილებში, კოლეგებსა და მეგობრებში, ამ გულისხმერი და უყელასათვის საყვარელი ადამიანის ღვაწლის დაფასებლებში. იმედად იხლა გვრჩება, რომ მისი ნათელი ხსოვნა სამარადისოდ დაამკვიდრებს ადგილს ჩვენს გულებში.

აბაშის რაიონის სპორტკომიტეტი,
რაიონის სპორტული სკოლა,
ამხანაგებისა და
კოლეგების ჯგუფი

მურმან ბოკუჩავას დაკრძალავენ აბაშაში კვირას, 12 ივლისს.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს „ქალთა გაზეთის" რედაქტორს ცირა კუბატაძეს დედის გარდაცვალების გამო.



ჯროსვორდი



თარაზულად: 3. გლადბახის „ბორუსიიდან" „ბაიერნში" გადასული ჰირვეული გერმანელი ფეხბურთელი, 6. 80-იანი წლების საბჭოთა მძლეოსანი, ურის მტყორცნელი, 7. 70-იანი წლების თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი, მარცხენა მცველი *(ფოტო)*, 11. ესპანელი ჩოგბურთელი ვაეი, 12. სლოვაკეთის საფეხბურთო კლუბი, 13. „ვალენსიასა" და რუმინეთის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 18. იტალიის საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი, 19. „ჩელსის" და იტალიის ნაკრების ფეხბურთელი, 21. ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი *(ფოტო)*, 22. გფრ-ის ნაკრების ფეხბურთელი, მცველი, 23. სპეციალური ბადე ჰაერში მალაფის გასაკეთებლად, 27. ბელგიის ნაკრების ფეხბურთელი, 28. წარსულში ცნობილი იაპონელი კეტჩისტი, 29. იტალიელი ფეხბურთელი, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 32. ჰადრაკში მუქარა მეფეზე, 34. წარსულში სახელგანთქმული გერმანელი თავდამსხმელი, 35. 60-იანი წლების უნგრეთის ნაკრების ფეხბურთელი, 36. ტანვარჯიშის იარაღი, 37. არგენტინის ნაკრების ფეხბურთელი, 38. 70-იანი წლების თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი.

შვეულად: 1. დანიის საფეხბურთო ნაკრების მეკარე, 2. წარსულში იტალიური წარმოშობის ცნობილი ამერიკელი პროფესიონალი მოკრივე, 4. წარსულში „ფორმულა-1"-ის ბრაზილიელი პილოტი, 5. მთის მწვერვალი, 8. 60-იანი წლების ცნობილი პორტუგალიელი ფეხბურთელი, 9. წარსულში ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი, 10. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 14. წარსულში ცნობილი ქართველი სიმაღლეზე მხტომელი, 15. ინგლისის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 16. ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი *(ფოტო)*, 17. 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი იტალიელი მცველი, 19. წარსულში ამერიკელი მოჭადრაკე, მსოფლიოს ჩემპიონი, 20. სივორისა და თეთრაძის სახელები, 24. ქვეყანა, რომლის საფეხბურთო ნაკრებს უწოდებენ „წითელ ეშმაკებს", 25. შვეიცარიის ნაკრების ფეხბურთელი, 26. „მილანის" ხორვატი ფეხბურთელი, 30. 60-იანი წლების ცნობილი რუსი ფეხბურთელი მარჯვენა გარემარბი, 31. ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების ბასკი მეკარე, 33. „რეალისა" და ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი *(ფოტო)*, 35. ავთანდილ ღოღობერიძის მეტსახელი.

შეადგინა დიმა ჯიჯელავამ (თბილისი)

წინა ნომერში ჯროსვორდის მაგიერ გამოქვეყნებული ფოტოსურათების პასუხები:

1. რეისი (ჩილე), 2. სონგი (კამერუნი), 3. გამარა (პარაგვაი), 4. სელიმი (ტუნისი), 5. ნანამი (იაპონია).

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული ხასტება: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინფორმაციული-პროგრამისტი ირინე ხიდასმინაძე